

მ რ ი

№ 18

კვირა 6 თიბათე

№ 18

რედაქცია უმორჩ-სად
სთხოვს ხელის-მომწერთ,
ხელის მოწერის ფულის
შემოტანა დააჩქარონ

1910 წ.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი

1910 წ.

ქუთაისი ველაღაგობის

დღევანდელ პირობებში პატიოსნება, საზოგადო საქმისათვის თავდადება მეტად იშვიათი მოვლენაა. მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ინგლისი, საფრანგეთი, დარწმუნებული უნდა იყვეთ, რომ ყოველივე ბოროტმოქმედება ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოიყვანდება და ყოველივე მოქალაქე, რომელსაც ხაღხის ნდობა ბოროტად გამოუყენებია, შესაფერად დაისჯება.

ჩვენში უკანასკნელ სამი საუკუნის განმავლობაში ისეთი არეულობა იყო, ისე შეირყა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საძირკველი, რომ უნებლიედ საზოგადოებრივი შეკავშირების ძალა შესუსტდა, საერთო თითქო იშლება და პიროვნებას სრული ფარფლისათვის ასპარეზი ეხსნება, ასეთი დრო, დრო დაცემისა და გათახსირებისა უნებლიედ წარმოშობს უთვალავ მოღალატეს, მკარცველს, ზავას და ყოველივე ჯურის გაქნის და დაცემულ ადამიანს. ამ საერთო ისტორიულ რყევის დროს ჩვენში მყარდება რუსეთის მთავრობა. ხოლო რუსეთში შემუშავებული ფსიხოლოგია ყველასათვის ცხადია. აქ არა ნაკლებ დაბლა სდგას საზოგადოებრივი პრინციპი, თვით მთავრობის წარმომადგენლნი ერთმანეთს ეჯიბრებიან მექრთამეობაში, დარბევაში და სხვა ბოროტმოქმედებაში. მოხელე, რომელიც თავის ჯიბეს არ ისქელებდეს, დიოგენის ფანრიით საძებარი გახდა.

ასეთ ატმოსფეროში, ასეთ საზოგადოებრივ უტიფრობაში აღიზარდნენ დღევანდელი ჩვენი (საზოგადო მოღვაწენი). განსაკუთრებული უტიფრობა ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში დამყარდა. აქ იშვიათად იპოვით ისეთ საზოგადოებრივ დაწესებულებას, სადაც არჩევნები სწარმოებს, რომ ღირსეული ადამიანი აირჩიონ. აქ პატიოსნება ნაკალადა

აღიარებული. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს იმ წვრილ ფესა თავად-აზნაურობაზე, რომლის უსაქმურობა და ზნეობრივი დაქვეითება კარგა ხანია ჩვენს ბეჩავ სამშობლოს შხამად ედება. ყოველ სფეროში ამ ჯგუფის წარმომადგენელთ შეაქვთ ერთნაირი ზნეობრივი სიმჩატე, ყოველივე საქმის დამცემი და გამათახსირებელი. სამწუხაროდ ჯერ სრულიად არ არის შესწავლილი უკანასკნელი სახალხო მოძრაობა. ჯერ-ჯერობით შეუძლებელიც არის მისი დამშვიდებით და მიუღდომოდ დაფასება, რადგან როგორც მისი მომხრენი და მონაწილენი, ისე მოპირდაპირენიც თვითვე მიუღდომელ განსჯას დორბლით პირზედ ეცემიან. მაგრამ რაც უნდა იყოს, დღესაც ბევრი დაგვეთანხმება, რომ ამ მოძრაობაში ბევრი არა საკადრისი, ბევრი გადაჭარბებული სისასტიკე იყო, ბევრი ბოროტმოქმედებაც იყო. გაიხსენეთ გლუხების მოძრაობის დასაწყისი გურიაში, დინჯი, მოფიქრებული, უმაღლეს ზნეობრივ იდეალებით აღფრთოვანებული, დაცემულთა აღდგენის მსურველი, დარიბთა და გაქირვებულთა დამხმარე და შეადარეთ ამას შემდეგი ხანა მოძრაობისა, როცა ათასი სინდის წარცხილი ადამიანი სოციალიზმის დროშას ამოეფარა. და თუ ამ ადამიანების ვინაობა დავაინტერესებთ, მაშინ გამოირკვევა, რომ უმეტესი მათში იყო არა მუშა სოფლის თუ ქალაქის, არამედ წინედ სოფლის დუქნებში ბანქოს მოთამაშე და მოქიფე, ხოლო ეხლა გასოციალისტებული კულაბიკა აზნაური. ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ეს მაგალითი, რომ ამჟამად გვეყო ჩვენი აზრი. თუ იქაც კი შეაქვთ თავისი ზნეობრივი ელფერი, სადაც ხალხი, მშრომელი ხალხია თითქო საქმის მწარმოებელი, რასაკვირველია, იქ ხომ უფრო ნათლად გამოიხატება მათი ზნეობრივი სიკატრე, სადაც თვითონ აწარმოებენ საქმეს. ჩვენდა სამწუხაროდ, საკრედიტო დაწესებულება ისეთი ხასიათისა, რომ აქ ყველაფრის გამოყვანება შეუძლებელია. ეს ვარუ-

მოგზა საკმაოდ გამოიყენეს სხვა და სხვა ბოროტმა ძალებმა და ამნაირად ბევრი მათი უსინდისო საქციელი საზოგადოებისთვის დაფარული დარჩა. საკმარისია ერთი ფაქტი დავასახელოთ. ერთ ადგილას ქუთაისის ბანკს დარჩენილ მამულების გამოვლენა ერთი ჩვენებური რაინდი. ამ რაინდმა მამულების შემოსავალიც გაფლანგა, კერძო პირებსაც ბანკის სახელით სხვა და სხვა ვალდებულება მისცა, კარგა ბლომა გაიკრა ჯიბეს. ასეთი საქციელის შემდეგ ყოველი დაწესებულება, სადაც პატიოსნების ნატამალი მოიპოვება, ამ რაინდს სამართალში მისცემდა. ჩვენში კი სულ წინააღმდეგს ვხედავთ. ეს ვაჟბატონი ბანკის რწმუნებულადაც კი აირჩიეს. ახლა მიბრძანეთ, როგორ გნებავთ ამის შემდეგ საქმე კარგად წავიდეს?

საზოგადოებამ სრულიად დაჰკარგა ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება. სამწუხაროდ ბანკს ჰქვია „სათავად-აზნაურა“, მაგრამ მისი მოქმედება არა წოდებრივია. ეს საქვეყნო დაწესებულებაა, მისი მოქმედება ჩვენს მხარეს შეეხება, მისი შეფერხება, მთელ ჩვენ ხალხს დასწევს და შეაფერხებს მის ქონებრივ განვითარებას. ყოველ საზოგადოებაში მოსალოდნელია, რომ აქა-იქ გაძვრენ არა პატიოსანი პირნი.. მაგრამ ჩვენი დაცემა სწორედ ის არის, რომ ჩვენში უბატოოსნო ადამიანს, ყოველ საზოგადოებრივობას მოკლებულს, პატივს სცემენ, საპატიო ადგილს სთავაზობენ. ჩვენ ვფიქრობთ, დღეს იმ წირტილამდე მივალწიეთ, როცა ძველი გზით ფეხის გადადგმა პირდაპირ დამლუბველია. ამას უღნა გრძნობდეს ჩვენში ყოველი ჩვენი საქმის გულშემმატკივარი, უნდა მოვიკრიბოთ მთელი ძალ-ღონე და სამკედრო-სასიცოცხლოდ შევებრძოლოდ იმ კენტქობიის მოთამაშეთ, რომელთაც დაღუპვის გზაზე დაგვყენეს, საქვეყნოდ თავი მოგვჭრეს და შემდეგ შიდაც საკეთილს არას გვიქაღიან. და თუ დღესაც ამ ბნელ ძალებს ერგო გამარჯვება, მაშინ მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ საჯაროდ გამოვაცხადოთ ჩვენი დაცემა და გათახსირება.



ზინაური მიმოხილვა

ჩვენი სოფელი რომ უპატრონოდ არის დატოვებული, ეს უკვლამ კარგად იცის. უოველივე საზოგადოებრივი წყობილება საჭიროებს თანდათან განვითარებას, რომელიც მის შინაგან ზრდას ზრატვის უნდა წარმოადგენდეს. ხოლო როცა ათასი წლებით შექმნილი წყობილება ერთბაშად ირადგვს და მის ადგილს იჭერს ახალი, უცხო შეუფერებელი და კიდევ უფრო მოუხეშავი წყობილება, მაშინ უმრავლესობა, ხალხი დიდ გაჭირვებაში ვარდება, მასში იჭყება საზოგადოებრივ დაშლის, დეზორგანიზაციის

ზრატვის, სუსტდება თვითდაცვის ძალა არსებობისთვის ბრძოლაში. და ამ დასუსტებით სარგებლობენ უოველივე წურბლები, რომ მეტი ძალ-ღონით განვითარონ თავისი მოქმედება და ხალხს რაც შეიძლება, მეტი სისხლი გამოსწოვონ. ჩვენმავე ესე მოხდა. შინაგანი ზრატვის ჩვენი ზოლიტიკური ცხოვრების განვითარების უეცროვ მოკვეთილ იქმნა, შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში სრულად ახალი, სასტიკი და უღმობელი ძალა. შეირყა ძველი წოობილება, დაირღვა ძველი ურთიერთობანი და ამ ნიადაგზე გაშტაკიებული საზოგადოებრივი ზნეობა, ხალხს გზა აუბნა. და აი ამ დროს საკმაოდ ისარგებლეს მისი მდგომარეობით სხვა და სხვა ობებებმა და გააბეს თავისი ქსელი. აუტანელია სოფელის ჯაფა, განსაკუთრებით ქართლსა და კახეთში. დღე და დღე მუშაობა შეუწყვეტილი სწამოების, მაგრამ გლეხი მასაც გულ-გაღელილი უს ფთაო, უსწავლელი, რუსის სლდათის ძველ ფარაჯაში გახვეული დადის. მას ეველა იბრივეებს, დიხანი ჩარჩიც კი, რომელსაც სიარულიც ეძნელება. იბრივეებს იმიტომ, რომ ზურგი გამაგრებული აქვს. „სახალხო გაკეთს-“ სწერენ სოფ. ენისელიდან: „აქურ გლეხთა ცხოვრება სოფლის წურბელა ვაჭრებს ეკუთვნის, რომელნიც უკანასკნელ წკეთ სისხლს სწოვენ გლეხობას.“ ზოლიტიკურ მონობას თან მოჭევა აუტახელი ეკონომიური მონობა. ასმა წელმა სოფელი მეტად დააკოდინა, დაჩაგრა, ხოლო მის ზურგზე სხვა მტარცვლებთან ერთად ჩარჩი გააძლიერა. ქსელის იმის ერთბაშად დაძლევა, რაც ასი წლობით იზრდება, თუნდ ეს ძალა მანვე იყოს, განსაკუთრებით დღევანდელ ზირობებში. მაგრამ მით უფრო გვმართებს სიფხიზლე და ბრძოლა სხვა და სხვა ბნელ ძალებთან. განსაკუთრებით საჭიროა სოფელში ჩარჩების აღკვეცა, რათა ისედაც წელში გატეხილი გლეხი სულ არ დაიჩაგროს. უოველ უწინარეს საჭიროა დაწვრილებით, ფაქტიურად შესწავლილ იქმნას ჩარჩის მოქმედება სოფელად. ამავე დროს უნდა შევეცადოთ სოფლის ხალხში გავადვიოთ შეკავშირების საჭიროება, შევექმნათ სხვა და სხვა ამხანაგობანი და სურთო ძალით წამოვაყენოთ ფეხზედ ათას გზით შევიწროებული ხალხი.

* * *

არა ერთხელ აღგვინიშნავს ის გარემოება, რომ საზოგადოებრივ სიწმინდის უქონლობამ ბევრი ჩვენი საზოგადო საქმე შეაფერხა, დასცა. უსინდისობა და უზიარობა არჩევნებში, არეუ-დარევა და თვითნებობა საქმის წარმოებაში აუტანელ ატმოსფერას ქმნის ჩვენს ისედაც დასუსტებულ ხალხში. ფლანგავს საზოგადო ქონებას სოფლის მიერ არჩეული მამასხლისი, თვითნებობს რომელიმე მიურეუბულ ადგილს არსებულ საზოგადო ბიბლიოთეკის გამგე, არა წესიერად აწარმოებენ საქმეებს თვით დმოწინავე წოდების თავ-ახანაურობის მიერ არჩეული ზირონიც. როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისის სლდეუტატო საკრებულდს საქმეების შესამოწმებლად არჩეულ იქმნა სარევიზიო კომისია, რომელმაც ჩვეულებრივ უწესრიგობაში აღმოაჩინა, რომ 9, 000 მანეთი დახარჯულა ისე, რომ გასამართლებელი

საბუთები არ მოიხვეჭება. ეს ფრიად სამწუხარო მოვლენაა. მაშ გვიბრძანეთ, რომელ საზოგადოებრივ დაწესებულებაში ვეძებთ წესიერებას? სად შეგვიძლია თავისუფლად ამოვიხსნათ? და ნუ თუ მთელი წოდება შესაძლებლად სცნობს ისეთი წარმომადგენლები იყოლიათ, რომელთაც უბრალო წევრებიც ვინცინებენ სავალდებულოდ არ მიანათ.

* * *

როგორც მოგახსენებთ, წერაკითხვის საზოგ. ამ ბოლო დროში რამდენიმე ადგილას თავისი განყოფილებანი გახსნა. საკულტურო საქმე მითხროვს სიღინჯის, ურთიერთ პატივისცემას და გატანას. აქ ყოველივე კინკლაობა და წვრილმანი დავა მხოლოდ ჩვენ საზოგადოებრივ განვითარების სისუსტის მაჩვენებელია. ამიტომაც ჩვენ მეტად სამწუხაროდ მიგვაჩნია ის დავა, რომელიც ბორჯომის განყოფილების წევრთა შორის ასტრეა და საჯარო ფურცლებზედაც გამოვიჩინა. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ შემდეგ მაინც წვრილმანი და გაზვიადებული კინკლაობა აღარ იჩენს თავს.

* * *

ჩვენს შერნად—გასეთებს ვინც თვალ-ყურს ადევნებს, ეტყვიან, რომ ტფილისში არსებობს ეგრედ წოდებული შერნადის საზოგადოება, რომელშიაც უმეტესად შედიან რუსულ გასეთებში მომუშავენი. სამწუხაროდ ამ გასეთების არსებობა დღეს ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ რაიმე ზნეობრივ პრინციპებზე დახარჯი შეუძლებელია. პრესასაც ყავს თავისი უშიშარი და უტიფარი თანამედროვე რაინდები, რომელნიც მზად არიან ყოველივე საზიზღრობა ჩაიდინონ, ხოლო სხვებში კი მუდამ ზნეობრივი ხინჯი და ნაკლი ეძიონ. ამ ნიადაგზე დამდგარნი უშუალოდ ერთმანეთს ლანძვევენ და ამით შესაძვენ იმ საზოგადოებას, რომელიც ისედაც არაა შეჩვეული პიროვნების პატივისცემას. ცხადია, ამ გვარ შერნადის შერნადის შერნადის საერთოდ არაფერია, არც მათ შეკავშირებას შეუძლია რაიმე კეთილი ნაყოფი მოიტანოს. მხოლოდ გავრცეებს ზოგიერთ პატიოსან პირთა საქციელი. რა უნდა მათ ამ საზოგადოებაში ან რა ზნეობრივ კავშირს გრძობენ ისინი იმ ადვილ ახსნილ პირობათს, რომელნიც მხოლოდ გათავისირების და დაცემის მოციქულნი არიან.



ბ ა ს უ ხ ა დ ს ო მ ხ ე მ ს.

— — —

არავის გულით არ სურდა ძმობა, ერთობა და სიყვარული, როგორც ჩვენ თქვენნი!.. ჩვენ იმ თავითვე ამ აზრით ვიყავთ ხომ გამსჭვალული.

როცა დაემხო თქვენი სამეფო... მტრმა დაიპყრო რა თქვენი მხარე, ვინ იყო თქვენი თანამებრძობელი თუ არა ჩვენ? ვლვარეთ ცრემლები მწარე,

რაც კი შეეძელით, არ დაგვიკლია; გეხმარებოდით ქირში ძმურადა და მეფეებიც ქართველი ჯარით თავს სდებდენ „ანში“ ვაჟაკურადა.

ბოლოს მიგიღეთ სამშობლოშია, გამოგიწოდეთ ძმებს ძმურად ხელი ტაძრები მოგცათ თვით ეკლესიამ... ისე მიგიღეთ, ვით საყვარელი.

ჩვენ სისხლს ვანთხევდით თქვენი გულისთვის; თქვენ იმ დროს მხოლოდ თქვენთვის ვაჭრობდით ჩვენ რომ, როგორც ძმებს, თავს გვევლებოდით, თქვენ თურმე მაშინ სულ სხვას ნატრობდით,

აბა, თუ რამე მიგიძღვით ღვაწლი საქართველოს წინ, წამოაყენეთ! და თუ ჩვენც შრომა ვერ დაგიფასოთ, უარი გვყავით და შეგვაჩვენეთ!

თითქმის მეტია ათასს წელზედაც საქართველოში მოსახლეთ რომ ხართ! აბა თუ ჩვენგან რამე გაკლიათ? ღმერთმაც ხომ იცის, ეხლაც გვიყვარხართ.

მაგრამ თქვენგან კი არა გვახსოვსრა, გარდა მტრობისა და სიძულვილის. ჩვენზე ისე ხართ შემოჩენილი, როგორც წურბელა და მატლი კბილის.

როგორ არ ვითხრათ, რომ მამა-პაპით ჩვენში გაზდილობართ... ჩვენში შობილობართ და სასომხეთი, როგორც ქვეყანა, არც კი გინახავთ, არც კი ყოფილობართ.

ღეღა ენათაც ქართული ენა ჰქონდათ თქვენთა მამა-პაპათა. ეხლა კი ძმათაც აღარ გვკადრულობთ, აგვითვალწუნეთ, აგვიღეთ ყბათა.

და აღარც ამხელთ ქართულს... გრცხვენიათ!
 თითქოს ის სომხურს უშლიდეს ხელსა...
 და თქვენთან ერთად რომ მოსაქმობდეს,
 გაურბით მტრულად დღეს თქვენ ქართველსა.

ამას ვჩიოდით! ამას ვსტიროდით!
 ეს იყო ჩვენი მოთქმა და ხარი!
 გვსურდა, რომ ჩვენსა და სომხებს შუა
 არ დახშულიყო საერთო კარი.

ნუ თუ ამდენ ხანს ვერ მიხვდით განა,
 რომ მტრობა-შურით ვერას გავხდებით!
 მხოლოდ ერთმანეთს კი გავაფუჭებთ,
 დავგლახავდებით ორივე... წაგხდებით!

და რაც საჯაროდ დღეს წარმოგიტყვამთ,
 თუ მართალია, ვერ გეტყვით „ვაშას“,
 ის არ შეჰფერის ძმობა-ერთობას,
 კეთილ მოღვაწეს და ნამდვილ მუშას.

სომეხი, ფრანგი, თათარი, ოსი
 ყველა ძმა არის, ვინც კი მოგვცემს ხელს
 და საზიარო ქირსა და ლხინში
 იწამებს მოძმეთ მოკეთ ქართველს!..

აი რას ჭფიქრობს ყველა ქართველი
 სომხისთვისაც რომ კარგი სწყურია,
 და იმიტომაც გულს ისრად ხვდება
 თქვენი სიმღერა: „ხაჩატურია“.

ა კ ა კ ი.



ვერედ წოდებულ „ინტელიგენციის“ შესახებ

—ა—

ბევრი წერილი დაწერილა და დაბეჭდილა ამ
 სათაურით ქართულ დრო-გამოშვებით მწერლობაში
 და ეხლაც კიდევ ამაზედ სჯა-ბაასი ბევრს შეიძლე-
 ბა მოსაწყენადაც დაურჩეს, მაგრამ მაინც გავკა-
 დნიერდებით და მივატყვევთ მკითხველის ყურადღე-
 ბას რამოდენიმე მოსაზრებას, რომელიც ხშირად მი-
 ვიწყებულობა და უყურადღებოდ დატოვებული.

ყოველთვის, როდესაც შეგებთან ხალმე საკითხს
 „ინტელიგენციის“¹ შესახებ, ავტორები საყვედურით
 იწყებენ წირილს, საყვედურითვე ათავებენ—და ამით
 კმაყოფილდებიან. ესე იგი, მცირე ჯგუფი, საზოგადო
 მწერლობის ასპარეზზედ მომუშავე, ყოველთვის სა-
 ყვედურით იხსენიებს დანარჩენ თანამოძმეთა სისუს-
 ტეს და სიძაბუნეს საზოგადო მოღვაწეობის სარბი-
 ელზედ და გულჩათხრობილი, სევდიანის სურათის
 მჭკრეტელი; კალამაჲ და ქაღალდს ანდობს თავის

კაეშანს... დამწერთან ერთად მკითხველიც სასოწარ-
 კვეთილებას ეძლევა; ვისაც შესტკივა გული, იგი
 ამითსანუგეშოს ვერას იძენს; ხოლო ვის შესახებაც ეს
 საყვედური იწერება, იმათ ეს სიტყვა არა სწვდება,
 რადგანაც იგინი ქართულის წაკითხვასაც-კი გაურ-
 ბიან, და რომ კიდევაც მისწვდეს, მათ სქელ ბაკანს
 ვერავითარი საყვედური ვერ გაატანს. მათი არსება
 იმდენად გადაგვარებულია და საზოგადო საქმისადმი
 უყურადღებობა ისე მძლავრად აქვთ გამჯდარი,
 რომ მათი გარდაქმნა და ცხოვრების გეგმის შეცვ-
 ლა მხოლოდ სასწაულად დასასახავია...

ამას რომ ვამბობთ, ჩვენ სრულებითაც არ ვუ-
 კიყინებთ ზემოხსენებულ მწერალთ უსარგებლო წე-
 რასა და უნიადგო აზროვნებას; მათ აზრსა და
 გულისნადებს, პირიქით, ყურადღებით ვისმენთ,
 ოღონდ მაინცა და მაინც, მხოლოდ და მხოლოდ ეს
 საკმარად არ მიგვაჩნია. საჭიროა, ღრმად გავუხინჯოთ
 სათავე უსიამოვნო მოვლენას და ამაზედ დავამყაროთ
 ჩვენი მსჯელობა. თორემ თითქმის ნახევარი საუკუ-
 ნეა, რაც გაისმის ეს ჩვენი წუწუნე, და არაფერი
 ცვლილება ამას არ მოჰყოლია: ერთი თაობის უი-
 ლაჯობას შემდეგის უფერულობაც მოსდევს, და ასე
 აშინაირად თითქმის დაკანონდა ეს დროებითი მოვლენ-
 ნა, მას სამუდამო და უცვლელი ხასიათი მიეცა. რა
 თქმა უნდა, ეხლანდელი მოსწრებული თაობაც განი-
 ცდის წარსულის ნაანდერძებს და ახალი თაობაც ამა-
 ვე პირობებში იზრდება და სხვანაირი ვერ გამოვა.

ამიტომაც საჭიროა, ყოველ-მხრივად გავითვა-
 ლისწინოთ ეს ჩვენი უილაჯობა და, თუ ყველას არა,
 ზოგიერთს მაინც აუხილოთ თვალი ამ საერთო და
 თიქმის აუცილებელ განსაცდელის შესახებ. ქირ-ვა-
 რამსაც შესწავლა უნდა და ყოველმხრივი მისი გა-
 მრკველვა აუცილებლად საჭიროა მომავლის სამზა-
 დისისათვის. ეგებ შემდეგ თაობას გაუადვილდეს ამ
 განსაცდელის აშორება და მათ ჩვენზე უფრო გაუ-
 ლიმოს ბედმა საკუთარი ძალების საზოგადო ასპარეზ-
 ზედ დახარჯვის საქმეში...

როგორც ყოველივე თანამედროვე, სიტყვა
 „ინტელიგენცია“-ც ნასესხები და გარედგან შემო-
 სულია. უფრო-კი რუსეთიდგან არის შემოსული,
 რადგანაც არც ერთ დაწინაურებულ ქვეყანაში არ
 არის ეს სიტყვა ისე გავრცელებული, როგორც
 რუსეთში. „ინტელ იგენტად“ იგულისხმება გონებ-
 რივად განვითარებული ადამიანი და ეს სიტყვა
 ნაწარმოებია ლათინურ სიტყვისაგან: „ინტელიგენს“
 «ინტელიგენცია» რომელიც ჰელიოსხმობს „ქკუიანს“
 „ქკუა“-ს. ევროპაში უფრო ხშირად ამბობენ სიტ-
 ყვას: ნასწავლს და უსწავლელს, ქკვიანს და უქკუოს
 შესაფერის ცნების დასახასიათებლად, მაგრამ ისე
 ხშირად არ ამბობენ სიტყვას: „ინტელიგენტს“ რად-
 განაც ისე დიდად განსხვავებულად არ მიაჩნიათ ასე-
 თი ადამიანი ჩვეულებრივ ადამიანთან შედარებით.
 ხოლო ვინც-კი ზედმიწევნით შეუდგება რისამე შეს-

წავლას, იმას უკვე „მეცნიერს“ უწოდებენ. რუსეთში-კი ალბად ისე განსხვავებულად ჰგულისხმობენ გონებრივად განვითარებულ ადამიანს, რომ ცალკე სახელით მოსანათლავი გახდება რაც უმცირესობა და-ნარჩენ უმრავლესობასთან შედარებით. ეს სახელწოდება ჩვენშიდაც, საესებით რუსული ელფერით გადმოინერგა და ჩვენშიდაც რუსეთის მიმბაძობით, ცალკედ დასასახავი გახდა ეს ჯგუფი. ამაშიდაც, როგორც ბევრ სხვა რამეში, არავინ დაქდებს, გამოღვება თუ არა ჩვენთვისაც. ესა თუ ის განაწილება, ესა თუ ის სახელწოდება, — სულ ერთია, — რადგანაც რუსეთში ასეა, უთოუოდ ჩვენშიდაც ასე უნდა იყოს — ამ აზრს თანამედროვე ქართველი ვერ გა-წორებია!...

ასეა თუ ისე, უმთავრესი საყვედური, რომელიც დღემდე გაისმის ჩვენს მწერლობაში ინტელიგენციის შესახებ საერთოდ შემდეგია: ჩვენი, ქართველი ინტელიგენცია ვერ არის საკმაოდ გამსჭვალული საზოგადო საქმის სიყვარულით, იგი კიდევ გაუბრძის ამ ასპარეზს, გულგრილად ეკიდება, და კერძო ცხოვრების ფარგალს ვერ გასცილებია; ის მცირეოდენი ჯგუფიც, რომელიც ჩაბმულია საზოგადო საქმეში, ძალაუნებურად, სუსტი გამოდის და უნაყოფო საზოგადო სამუშაო ნიდაზგზედ, რადგანაც მოკლებულია უმრავლესობის თანაგრძნობას და ნივთიერ საღსარს.

ამისათვის ყველგან საერთოო უმოქმედობა არის გამეფებული. ყოველი საზოგადო ქართული საქმე სუსტის ნაბიჯით მიდის და ისეთ სავალალო დროს, როდესაც მრავალი რამ არის საზრუნავი და გასაკეთებელი, მომუშავე საკმაოდ არა სჩანს და საზოგადო ასპარეზიც თითქმის სულ ცარიელია. ასეთის გულგრილობისა და უმოქმედობის დანაშაული «ინტელიგენცია-ს», მიუძღვის და მისივე ბრალია, რომ ერის საზოგადო საქმე უზვიეროდ და უნაყოფოდ ერთს წერტილზედ არის შეჩერებული. რასაკვირველია, საზოგადოებაც არ არის გასამართლებელი, მაგრამ უმთავრესი ბრალი-კი უფრო „ინტელიგენცია-ს“ უნდა დაეწამოს და სხ.

აი მიახლოებებით ასეთია ის ბრალდება, რომელიც მუდამ და ყოველთვის გაისმის ჩვენს მწერლობაში ჩვენი „ინტელიგენციის“ შესახებ. ყველას გულისწყრომა და ბოღმით აღსავსე უკმაყოფილება მხოლოდ და მხოლოდ ამ საფუძველს უტრიალებს. ამიტომაც საჭიროა, ყოველმხრივად გამოიკვეს ეს ბრალდება და ის განსაკუთრებული პირობებიც, რომელნიც მუდმივად აყალიბებენ ჩვენში ერთი მეორის მსგავსს პიროვნებათ და აჩენენ ერთისა და იმავე ჯურის ხალხს. რომ ამით გავითვალისწინოთ წარმომშობი სათავე და მხოლოდ შედეგის გლოვას არ მოვანდომოთ ხოლომე ჩვენი გრძნობა და გონება. ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და ჩვენც რამდენიმე მოსაზრებას გაუზიარებთ მ მკითხველს.

ერთი ვინ — მე.

(შემდეგი იქნება)

თბილისის თავად-ახსნაურთა

კრებების გამო.

საზოგადოებრივ კონტროლს ჩვენში დიდი ფასი არა აქვს; არც ერთი საზოგადო დაწესებულება არ არის ჩვენში ისეთი, სადაც ამნაირი კონტროლი ჯეროვან ნიადაგზე იყოს დაეყენებული; ამისთვისაც, რომ უოკული საზოგადო საქმე ჩვენში ძლიერ-ძლივობით სულს დაფიქსირებულად დაეყენებულ დაწესებულებაში სრულიად არ არსებობს არავითარი კონტროლი; ასეთის მკვლევად თავდა-ახსნაურთა დაწესებულება ქუთაისის თავად-ახსნაურთა, საქმეების უკანტროლობამ ჩვენ იქამდის მიგვიყვანა, რომ რამდენიმე ათასი და ათი ათასი მანეთი გაფლანგული აღმოჩნდა და ბევრი სხვა საქმეებიც არეულადარეული — როგორც წარსულ კვირის. კრებებზედ აღმოჩნდა თბილისის თავად-ახსნაურთა მცირედი ნაწილი მწერალად ბრძანდება უოკული კონტროლისა — ისინი სა-მარტხინოდ და თავის დირსების დამამტარებლად სოფლიან რამე კონტროლის დანიშნას თავისი საქმეების წარმოებაში — noblesse oblige — კეთილშობილება აძულვით მათ უარჯვენს უოკული კონტროლი, თუ რევიზია თავის საქმეებზედ. ასეთია ამ პატარების ფისიზალოგია. რაც უნდა საქმეების წარმოების ორგანიზაცია კარგად იყოს დაეყენებული, კონტროლი მანც აუცილებლად საჭიროა, ეს არავისთვის არ უნდა იყოს დანამტკიცებელი — სახელმწიფო დაწესებულებაშიც, სადაც საქმეების წარმოების ორგანიზაცია ძლიერია, იქაც კი ხდება დრო-კამოშებით რევიზიები; კერძო საზოგადო დაწესებულებაში კი, სადაც ასეთი ორგანიზაცია სხვა და სხვა მიზეზების გამო სუსტია, კონტროლს ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს — სარევიზიო ორგანო მარტო იმისთვის კი არ არის, რომ ანგარიშების და ხარჯთ-აღრიცხვის ციფრები შესწორ-შემასწავროს — მისი დანიშნულება უფრო ფართოა, ის მთელი წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებს იმ თუ იმ დაწესებულების საქმეთა წარმოების შექანისმს და თავის იდეურს რჩევას იძლევა — თბილისის თავად-ახსნაურთა ამ ჟამად ევოლუციის ხანშია. ის თან და თან არისტოკრატიულ-ფეოდალურ ქულაჯვას იხდის და ფინანსიურ-კაპიტალისტურ სტრუქტურას იცვამს; დღეს ელექტრონის სადგურის ექსპლუატაცია, ხვალ კახეთის რკინის გზა, ზეკ კიდევ შეიძლება რამე სამრეწველო-საფინანსო ანტრეპრიაზის მაკვადრს ხელი და ამნაირად მისი სამოქმედო ასპარეზი თან და თან ფართოვდება. ამნაირი საქმეების წარმოება-კი დიდს და რთულს ორგანიზაციას თხოვლობს, რაც თავის თავად იწვევს კონტროლის აუცილებლობას. აქ სამარტხინო კი არაფერია. აქ აუცილებლობაა და აუცილოთ, მკვლევად, დღევანდელი ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა, აქ ჩვენ შევუბნობთ მხოლოდ ელექტრონული სადგურის ანგარიშების შედგენას — როგორც ვიცით, ეს სადგური თავად-ახსნაურთაში ამ ორა წლას წინადა სხ. „უნიანსკან“ შეიძინა და ახლა-

გებით 60 ათას მანეთად. როცა რაიმე სამრეწველო დარგის შესაქმნელად კაპიტალს იღებენ, შემდეგ სამრეწველოს მოგებიდან ეს ძირითადი თანხა უნდა განხდეს, ან ტექნიკურ ენაზე რომ ვსთქვათ კაპიტალის ამორტიზაციას უნდა ხდებოდეს რამდენიმე წლის განმავლობაში, რომლის განსახლურა და მოკიდებულია სხვა და სხვა ტექნიკურ და კომერციულ მოსახრებაზე. 60 ათას მანეთად თავდახსნაურობაში სდგურის შენობა და მაშინები შეიძინა, მაშასადამე ეს კაპიტალი, რომელიც განადგობული უნდა იყოს რამდენიმე ხანში, უმეტეს ნაწილად მაშინებს ეხება. რა ხნის განმავლობაში უნდა მოხდეს ამ კაპიტალის ამორტიზაცია? მაშინებს თავისი ჰიგენა, თავისი ანატომია და ფიზიოლოგია აქვთ; ისინი მოძრაობენ, ხმარებაში, არაან ამიტომაც თანდათან იცვითებიან და ბოლოს ფუჭდებიან და ხმარებისთვის უვარგისნი არიან. ტექნიკაში განსახდურულია მათი ნორმალური სიცოცხლე, თუ რაიმე უბედური შემთხვევა არ იქნა, როგორც ადამიანის ცხოვრებაში. სხვა და სხვა მაშინებისათვის სხვა და სხვა ნორმა დაწესებული — სთუალოდ ავიღოთ 15 წელიწადი, ხშირად 10 წელსაც იღებენ. მაშასადამე 60 ათასი მანეთის ამორტიზაცია, რომ ამ კაპიტალით შექნაილი ინვესტირება ხალი უფაილიყო, შეიძლება ათ ან თხუთსმეტ წლის განმავლობით განგვესახდურა, მაგრამ სანამდის თავდახსნაურობაში შეიძინა ეს სდგურა, თითქმის ათი წელიწადი ხმარებაში იყო, მაშ თავდახსნაურობაში შეიძინა მაშინები და ინვესტირება ათი წლის ხმარების შემდეგ, მათი ამორტიზაცია შეიძლება მხოლოდ დიდი დიდი 5 წლის განმავლობაში, მეტი არა; ანგარიშებში კი ვხედავთ, რომ იმ კაპიტალის ამორტიზაცია რომელითაც ძველი ან უვარგისი მაშინები იყო შექნაილი, ჯერ 15 წლით არის გაჭიმული (ან შარშანდელი ხარჯთ აღრიცხვა) შემდეგ ათი წლით (ან წლევისდელი ხარჯთ აღრიცხვა.) მაგრამ ზირველივე დღიდან ეს უვარგისი მაშინები უმეგდებული იყო და უმეგდებუნი სისტემის მაშინები იუგუნ დადგმულია. ამ ხალი სისტემის მაშინების ამორტიზაციას თქვენ ვერ ხახვთ ანგარიშებში ვერც ხახვთ, თუ რა დაუჯდათ ეს მაშინები. გარდა ამის, თუ რაიმე სამრეწველო დარგს კაპიტალს ხმარებენ, მასზედ ზრციენტს ანგარიშობენ, რადგან ეს თანხა რომ ბანკში დასდეთ, სულ უხრუხეულად ზრციენტს შიადებთ, თუ ბანკიდან გამორტანეთ, ზრციენტს იხდით მრეწველობის მოგებიდან. თქვენ ვერ ხახვთ ანგარიშებში ზრციენტს — სდგურას და მის ინვესტირებაზე დახარჯულ კაპიტალზე — და ამხარად თუ ამ ხარჯების მიუყვამტებთ იმ ხარჯების, რომელიც ანგარიშშია მოხსენებული, მაშინ საეჭვო იქნება, თუ შემოსავალი იმდენია, რამდენიც ანგარიშშია მოხსენებული. შეიძლება მაშინ შემოსავლის მაკიერად ელექტრონულ სდგურადან დეფინიტურ მივიდეთ. გარდა ამის ანგარიშით ამ სდგურის ბინისთვის გადადებულია 1320 მანეთი; ხარჯთაღრიცხვით კი შერმისთვის უნდა გადახედონ 1200 მანეთი. რას ნაშნავს ეს? სდგურის ბინა ჩვენ გვერინა, შექნაილია და მასზედ იუღის დახარჯული, მაშ ამ ხარჯის ანახდურება ამორტიზაციაში უნდა იყოს აღნუსხული — და ბევრ ამისთანა შეუსაბამის ჰახვთ ხარჯთ-

აღრიცხვაში მაგრამ ილიუსტრაციისთვის ესეც კმარა და ამის შემდეგ იმის თქმა, რომ რა საჭიროა კანტროლი და რევიზია, გასაკვირველია დღევანდელ კრებებზედ თავდახსნაურობას შეუძლია ანგარიშებზე და ხარჯ-აღრიცხვაზედ მსჯელობა იქნის, მაგრამ მათი დამტკიცება უნდა გადაიდგას მანამდის, სანამ დღევანდელ კრებაზედ არჩეული სარევიზიო კომისია დასაბუთებულ მოხსენებას არ წარუდგენს თავდახ. კრებას საქმეების წარმოების შესახებ.

ინჟ. ივ. მეძმარიაშვილი.



ნუსკალ ხანი

ისტორიული მოთხრობა.

(ვუძღვნი ძმებს კატეს და მიტროს).

ანდერაზ საგინაშვილი არ ეკუთვნოდა იმ დიდ ბუნებოვან გვარებს. ის ერთ-ერთ შორის მტრობის, შფოთის და შურის მორვეში სცურავდა. საგინაშვილი და ერთი სხვა მისი მოსახლვერე თავადი ვადაეკიდნენ ერთმანეთს მამულის თაობაზე. საქმე მეფედისინ მივიდა. ლევანმა საქმე საგინაშვილის მეტოქე თავადიშვილის სასარგებლოდ ვადასწყვიტა, საგინაშვილი დასთანხდა, მაგრამ მის შურისძიების ფილაში რამდენიმე გესლის და ნაღველის წვეთი ჩაეწვეთა. ბევრი ხანი არ დასჭირდა ფილის ასავსებად. აივსო და ვადმოვიდა კიდევ. ვავარდა საგინაშვილი დაღესტანში და დიდ ნადავლის დაპირებით წამოუძღვა ლეკებს კახეთისკენ. ლამის წყვილიდში ცეცხლი ავარდა საგინაშვილის მეტოქე თავადის სოფელში. ზარდაცემული მცხოვრებნი წვილ-კვილით ვარბოდნენ, მაგრამ რისთვის? — იმისათვის რომ ვამხდარიყვნენ ან ლეკების ტყვეთ და ან მრისხანე მახვილის მსხვერპლად. მთელი ვალმა მხარე ფეხზე დადგა და საომრად მოემზადა. მეფემ ვაგზავნა ჯარი ლეკების წინააღმდეგ. ჯარი მიეწია მტერს მთის ძირას და დაუწყო ქლეტა. ლეკები დამორჩილდნენ და ვასცეს თავისი წინამძღოლი — ანდერაზ საგინაშვილი. მოლალატე, თავლაფდასმული თავადი წარუდგინეს მეფეს. მეფემ ხასვა ცინეში და აი მას აქეთ ვანვლო ხუთმა წელიწადმა.

ზნებობრივად მთლად დაცემული, მთელი თავის არსებით ვახრწნილი უნდა იყოს კაცი, რომ რაც უნდა მკირედიც დანაშაულობა მიუძღოდეს, სინანულს არა გრძნობდეს, სვინდისი არ აწუხებდეს და ჰქეჯნიდეს მის გულს. დანაშავე კაცს თავი ეზიზღება, სიტყვა დაბალი აქვს და თვალევი ვაბედულოდ ვერ შეპყურებენ. საგინაშვილიც სწორედ ამ მდგომარეობაში იყო, როდესაც მეფეს წარუდგინეს. სვინდისი და სირცხვილი მეფის და მთელ იქ მოყრილ

თანამომხმე მეომრების წინაშე, იმ თანამომხმეების, რომელნიც რალაც სიხარულით მოელოდნენ თუშეთში სამშობლოს მტრის დასახვედრად, — აწუხებდა მას. ისე უცემდა გული, თითქო გაპოზა სურს მკერდისაო. ტანში რალაც უსიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა, კანკალს აეტანა და შუბლი ცივ ოფლს დაენამა. იღვა მეფის წინ თავჩაღუნული, თვალები მიწას მიპყრობილი.

— მეფევ, წარმოსთქვა ბოლოს საგინაშვილმა და მისი მღელვარე ხმა თითქო გულის სიღრმიდან ამოვარდაო, — დიდი დანაშაულობა მიმიძღვის შენსა და სამშობლოს წინაშე. მე ღირსი არა ვარ, რომ ცოცხალი ვიყო, ვუყურო სამზეოს. მაგრამ ათასჯერ სიკვდილი მერჩინა ამნაირ სიცოცხლეს... აი ეს ხუთი წელიწადი შესრულდა, რაც მე, ცოცხალ აღამიანს, მზე არ მინახავს. ეხლა ამ ჟამად ჩემ კუბოდან რომ გამომიყვანეს გარედ, როგორც მწყურვალე მივარდეს წყაროს და ხარბად დაეწაფოს, ისე მეც მივაპყარი თვალები მზეს, რომ დამტკბარვიყავ ქვეყნიერობის დიად მნათობის ქცერით; მაგრამ მისმა ბრწყინვალე შუქმა სულ დამიბნელა არე-მარე და რომ საპყრობილის დარაჯს არ დავეჭირე, პირქვე დავარდნას ვაპირობდი... დიდებულო მეფევ, დაასრულა ტუსაღმა, მაკმარე ტანჯვა, მაღირსე სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი ბრძოლის ველზე და არა ოთხკედელ შუა, გამიშვი თუშეთში, რომ ჩემი სისხლით დავეწრო ბრძოლის ველზე ჩემი სინანული და მით ოღნავ მიინც ვიზლო დანაშაულობა...

აქ საგინაშვილი გაჩუმდა. მის უამისოდაც ფერწარსულ სახეს რალაც მღვრიე ნაცრის ფერი გადაეკრა. იღვა თავჩაღუნული, ისევ ისე თვალები მიწას მიპყრობილი, და ელოდებოდა მეფის პასუხს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდი ამ დროს, რომ თითქო სიკვდილი გაამეფებელიყოს იმ ალაგას. მეფე სდუმდა, მისი ბრწყინვალე ამაღაც იღვა უძრავად, თითქო ერთ ალაგას მიქედლია. ეტყობოდა, რომ ტუსადის დანაშაულობის გულწრფელად აღიარებამ და მეფისადმი მუდარებამ იმოქმედა, როგორც ამაღაზე, ისე თვით მეფეზედაც.

— წადი, შენ იცი, როგორც იზღამ დანაშაულობას, ბრძანა მეფემ, გამოემშვიდობა ჯარს და გასწია სასახლისაკენ.

ჯარი დაიძრა თუშეთისაკენ.

XIII

ფშავ-ხევსურეთს გაგზავნილი კაცები ზოგნი უკანა ფშავში წავიდნენ ლაშარის ჯვრის დეკანოზთან და ზოგნი-კი გადავიდნენ ხევსურეთში ხახმატის დეკანოზთან.

ყველაფერი დაწვრილებით აუწყეს გაგზავნილებმა დეკანოზებს რაც გაჭირვება ადგა თუშეთს.

დეკანოზები, როგორც ფშავ-ხევსურეთში, ისე მთიულ-გულდა-მაყარში იყვნენ როგორც სულიერი, ისე

საერო მამანი მთელი ხევისა და თემისა. დიდი, თუ პატარა, ქედოსანი, თუ მანდილოსანი დეკანოზს უყურებდა როგორც წმიდა მამას, წმიდად ასრულებდა ყოველ მის მოწოდებას, დარიგებას. დეკანოზიც ნამდვილი გულმტკიცებული მამა იყო ხალხისათვის. მოძმეთა და თემებთა შორის ჩხუბსა და დავიდარაბას, რომელსაც ხშირად ხოცვა-ჟლეტა მოსდევდა, ის არჩედა, მისი სიტყვა კანონი იყო ყველასათვის. ამასთან ხატობას დეკანოზი იყო სულით და გულით მოსამსახურე თავის „ბრძანებლის და ბატონის“ ხატისა. ახალწლიდან დაწყებული. ვიდრე მარიაშობის თვემდის ის ცხოვრობდა მწირად ხატის საბრძანებელში. იქ ქედმოდელი, მუხლმოდრეკილი ევედრებოდა წმიდანს, რომ თავის მოწყალება არ მოეკლო თავის „ყმისათვის“, რომ აეშორებინა ქირს, გაენადგურებინა მტერი და სხვა. მხოლოდ როდესაც ხევის, თემს შემოესევოდა მტერი, მაშინ წმიდანის მოსამსახურე, წმიდა მწირი ბერი ხდებოდა ბრძოლის ველის მრიხსანე გმირად, მტრის ხმას გაიგონებდა თუ არა, გამოიტანდა ხატის საბრძანებლიდან წმინდა დროშებს, დააწკარუნებდა ევენებს, მოიხმობდა ყველა ვაჟკაცს, ვისაც-კი შეეძლო იარაღის ტარება, გაღიხიდა ხატის კარზე სამღვთოს და წაუძღვებოდა ლაშქარს მტრის დასახვედრად.

ხახმატის და ლაშარის ჯვრის დეკანოზებმა თუშების მისვლისთანავე უმაღლვე აფრინეს კაცები ხევებში, რომ მყისვე მოგროვილიყვნენ ხატის კარებთან სალაშქროდ მომზადებული ვაჟკაცი. დაიწყეს დენა ხატების კარებისაკენ აქა-იქ ფშავ-ხევსურეთის კუთხეებიდან შეიარაღებულმა მეომრებმა.

აიგსო მეომრებით ხახმატის სალოცავის მოედანი. მტრისთვის თავს ზარდამცემ სურათს წარმოადგენდნენ ჯაქვ-ჯავშანში ჩამსხდარნი, ფარებით მკლავზე დაშენებანი ხევსურთ ყმანი. დეკანოზმა გამოიტანა ხატის საბრძანებლიდან დროშა და ქედმოდელი წარსდგა ლაშქრის წინ. გაისმა დროშის ევენების ნელი წკარუნი. მხედრობამ ქელი მოიზადა და თავი მოიხარა წმიდა დროშის წინაშე. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ვარკვევით ისმოდა ბერ თელის ფოთლის შრიალა და ხახმატის პატარა ხევის ჩხრიალი.

ხევსურნო!.. გაისმა მქეპარე ხმა დეკანოზისა, — ჩვენი ძმები — თუშები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილან. ნუკალ ხანის წინამძღოლობით მთელი დაღესტანი შემოჰსწევია. თითქმის ნახევარი თუშეთი გაუნადგურებია, ციხე-სიმაგრეების და აშენებულ სოფლების ქვა-ქვავზე აღარ დაუნარჩუნებია. ხალხი უწყალოდ ივლიტება მტრის უღმობელ მახვილისაგან.

აქ შესწყვიტა დეკანოზმა ხმა. გაისმა ისევ ევენების წკარუნი.

— მაშ ჩვენ რის ძმები ვართ, ხევსურნო, აღფრთოვანებით განაგრძო დეკანოზმა, — რისთვის

გვხურავს ქული, რისთვის გვასხავ ყბას წვერ-ულვაში თუ არ მივეწველებით და მით მხარს არ მივცემთ შეწუხებულ ჩვენ ძმებს—თუშებს?!. მაშინ ხომ წახდა მთა, ხევსურნო, წახდა ჩვენი ძმობა, ჩვენი ერთობა... მაშინ ხომ შევრცხვით საშვილიშვილოდ, და გვეხურა დიაცების მანდილი. თუშეთის წახდენის შემდეგ წავგახდენენ ჩვენც, აუხსნა დეკანოზმა ხევსურებს, — გადმოვლენ სახევსურეთოდ და წამურტლავენ ჩვენ მამა-პაპათა საფლავებს, ამოიღებენ მკვდრებს და ნადირს მისცემენ შესაქმელად, ამასაც არ დაგვეკრდებიან, წამურტლავენ ჩვენ წმიდა ხატებს, დროშებს...

ლაშქარს მღელვარება დაეტყო.

— რას იტყვიო, ხევსურნო, მიეწველებით, მიცემთ ჩვენ ძმებს მხარს თუ არა?

— წავალთ, წავალთ, გაისმა ხმა მეომრებისა, — არ დავზოგავთ სისხლს ჩვენი ძმების თუშებისათვის, თუ დავზოგავთ, ხანმატის ხატმა დაგვლახვროს...

მეომრების ამნაირმა პასუხმა უფრო აღფრთოვანებაში მოიყვანა დეკანოზი. მის სახეს სიხარულის ელფერი გადაეკრა და თვალბეჭეში ელიამ გაუარა.

— ჩვენი სისხლიც მართებს ლეკებს, აუწყა ხევსურებს დეკანოზმა. — თუშეთში სასტუმროდ მოსული რვა ლიქოკელი ხევსური მომკვდარა თუშებთან ერთად ქვათენეთის ციხის დაცვაში. ვაჟაკურად კი დახოცილან! ამაყად წარმოსთქვა ხევსურმა, — უსახელნიათ თავი, არ უღალატნიათ თავიანთი ჯიშისათვის, არ შეურცხვენიათ თავიანთი მამა-პაპის საფლავი, მათი ანდერძი. იმათი სისხლი ჩვენ კისერზეა, ხევსურნო, დაასრულა დეკანოზმა, — არ მოგვასვენებენ მათი სულელები, სანამ არ ავიღებთ მაგიერ სისხლს!..

— ავიღებთ და გადავამატებთ კიდევ! იგრიალეს ხევსურთ ბიჭებმა.

— მაშ გადვიხადოთ სამღვთო, სთქვა დეკანოზმა, — შევედრნეთ დიდ ბატონს ხანმატის წმიდა გიორგის, გმირს კოპალას, ყველა მთის და ბარის წმიდანებს, რომ გამარჯვება მოგვცენ მტერზე.

ამ სიტყვებით დეკანოზმა მიაყუდა საბძანებლის კედელზე დროშა, საბძანებლიდან გამოიტანა მდიდრად ოქროთი და ვერცხლით მოკაზმული საქართველოს მეფის შეწირული ჯვარი, წმიდა გიორგის ხატი, სხვა და სხვა ვერცხლის თასები და დააწყო სალოცავის კარზე. რამდენიმე მეომარმა მოიყვანა კურატები, დეკანოზმა ამოიღო ქარქაშიდან ხანჯალი, აღმართა გულის სისწორივ და ნელის სევდიანის ხმით დაიწყო ლოცვა. ამ ლოცვაში დეკანოზი ემუდარებოდა მთის წმიდანებს. რომ თავ-თავიანთი მფარველობა გაეწიათ ლაშქრისათვის. გმირო კოპალო, ევედრებოდა მთის წმიდანებს, — თავს ზარი დაეცი, განფანტე შენი ბასრი შუბით ავ-ქაჯნი, მოაშლევი-ნე მათ პირი, რომ არ მიეშველნენ ჩვენ მტრებს!.. — მაგვანის წმიდა გიორგიე, უყარაულე შენ მთას,

მის შვილებს. თვალი დაიქი, რომ მტრებმა ფარულად არ წახდინოს შენი სამწყსო.

რალაც გაუგებარ მძლავრ შობებულებას ახდენდა მლოცავებზე ამ დროს დეკანოზი, რალაც საიღუმლო ძალით იზიდავდა და ჰბოქავდა მსმენელს მისი გამომეტყველი, მთლად ნაოქებად ქცეული, ფერ მკრთალი სახე, რომელიც ამტკიცებდა მწირს ცხოვრებას ბერისა. ნახევრად დახუჭული მისი თვალები თითქო ერიდებოდნენ, რომ ემზირნათ ცოდვილ ქვეყნისათვის; თითქო ამ დროს ის სულით და გულით ესაუბრებოდა წმიდანებს, უმზერა მათ.

— აღიღოს... აღიღოს!.. გწყალობდეთ!.. ამით გაათავა დეკანოზმა თავისი სიტყვა. დაიწყო კურატების ხოცვა, მეომარი მიიყვანდა კურატს დეკანოზთან, დეკანოზი მარცხენა ხელით გადაუწევდა მსხვერპლს თავს და მარჯვნივ-კი ჩასცემდა ყელში ხანჯალს. შადრევანად სცემდა სისხლი მსხვერპლის ყელიდან.

— შეგვეწიე... გვიშველე, დიდა ხანმატის წმიდა გიორგიე!.. დაიძახებდა ამ დროს მსხვერპლის მკერელი ხევსური, გაიქნივ-გამოიქნივდა მომაკვდავ მსხვერპლს და შეასხავდა მის სისხლს დროშას, ხატს და წმიდა თასებს. სხვა სევსურებიც მიაშვერდნენ ხელს და მსხვერპლის სისხლით იბანდნენ ხელებს, ცხვირბირს, გულმკერდს, რომ მით ეამებინათ წმიდანებისათვის.

სამხვეწროთ დაკლულ საკლავების ხორცი დასტურებმა მოხარშეს ხატის დიდ ორო-ორ ყურიან ქვაბში, რომელიც სდგას საბძანებელში და დაურიგეს მლოცავ მეომრებს. მორჩნენ სამღვთოს. დეკანოზმა დაულოცა ლაშქარს გზა, ხევსურებიც გაემართნენ მქეხარე სიმღერით თუშეთისაკენ, რომ შაბათის გასათენებლად უეჭველად მხარში ამოსდგომოდნენ თანამოდმე თუშებს.

ივ. ბუჭურაული.



ჩ ე მ ი ნ ა ლ ე ლ ი

I

იმდენი თავზარ დამტეში ამბები ხდება, რომ კაცმა არ იცის, საიდან დაიწყო, რომელ ერთს გაუწიოს ანგარიში, ერთი მეორეზე სასწრაფო, ერთი მეორეზე საშინელი, შემარცხველი, ადამიანის ზირთენების დამამცირებელი. ერთიანად მოიწამლა, მწარე ნადღვით მოიშხამა...

ადარ არის გატანს, ერთსულოვნება, კავშირი და სოფიადარობა; ეველა სიფლიდით, შურით, ჯიბრით, გაუტანლობით შეიარადდნენ, მეზობელი მასისხლე მტრად და აფასკად გადაქცა; არბუეს, შეუბრადლებლად სტარცვას, მხლანა უბრადო ცხოველსავით დანთ ეელი გამოდღაროს თავისივე მეზობელს; გულითადი მეკობარი გამოიდ-

ველ იუდათ, სსინხდარ მოღალატე შეიქნა, მტრის ბანაკ-
თა წრეში ჩაყვარა; თავის სიყვარულს შეგობარს, ერთ
მიწა-წყლის შვილს, ერთ სიხლ ხორცს ადარ ინდაბს,
ორ გროშით ჭვიდის თავის სეინიდის, ზატოისნების, ადა-
მიანობას, ღალატობს ეველს, — ძმას, შეგობარს, სამშო-
ბლოს, მთელ ერს.

ადარ ანის მონუგეშე, გულშემტკივარი, გულ-რწოვე-
ლი ადამიანი, ადარ ანის ნდობა, სიმართლე, კეთილი სლდა-
ში და სიყვარული; ეველს სსინწარკვეთილებს მიეცა: რა-
ღაც შიშმა შეაბერო. დაიკარგა სიმამცე, გამბედაობა, ვა-
ჟანგში სიტყვა-პასუხი; გაჭქარ უნარი მადლი გძმობის-
ადამიანის კეთილ დღეობის დაფარვისა, მისი წმიდათა—
წმიდის—ზირთების, სამშობლო ენის და მიწა-წყლის
ერთგულებისა; დიდი და ზატარა, ქალი თუ კაცი თვითვე
მდავებ, უარს ჭეოფენ თავის ენას, ერიდებთან თავის ენა-
ზე სუბარს. თითქმის ვიღაცას კერძალაიან—ეშინანთ თა-
ვის ეროვნების გამიხენისა, გვარს იცვლიან. — ში-
ნაურს თუ კარეულს, ნაგნობს თუ უგნობს, სტროფას თუ
სიყვარულს უცხე ენაზე ესუბრებიან, მსჯელობენ, მღე-
რას, ადერსობენ.

ქართული დედა თავის შვილს ტკბილ ქართულ ნასს
ადარ დამერის, უცხოელთ მიანდა მის ადზდის ბუდი,
რომ უცხო ენა უფრო წმინდათ შეათვისებინოს და მით
სავსებით მოსწუვიტოს და ჩამაშოროს იგი თავის ბუნებას,
თავის სამშობლო ენას. ქართველმა მამამ გული აიყარა
თავის მამულზე, თავის ნაამგარ მიწა-წყალზე და უცხო-
ელებს უკანასკნელ გროშით ურიგებს, გულ ციფად ემშობ-
დობება მამა-პაპის სისწლით მონაგარ, მათ ოფლით შეკ-
რულ-შეხლდულ მდიდარ ბუნებით სავსე არე მარეს და
თავის შვილებს ღვთის ამარად დანაგრულ გლანაკად სტო-
ებს. ოფულზე ჭვიდიან მამულს—სამშობლოს, საყვარელით
გასიმის ეს ადამიანის დამადუშებული ხმა. მერე ვინ მის-
ცათ სამშობლოს გაყიდვის ნება? რა ზსუსეს აძლევენ ქარ-
თველ ერს? რომ დაჭკო და სამარე წვევლა-კრულვით
აუგსო მოღალატეა?!? განა ნიჭიერ ზოეტს რ. ერისთავის
ცხოველი სულით შთაბერილ ჩანგურის სიმების უღერა
მათ არ სემნათ? „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს უკუ-
დავების სეხედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სსვა
ქვეყნის სამოთხეზედა.“ მკრამ ზოეტის ამ გვარ ტრფო-
აღს სამშობლოსადმი, მის თხოვნა-მუდარას ქართული
მშობლები არად ავლებენ: ისინი მხნედ განაკრძობენ სამ-
შობლოს გაყიდვას და სიამყით იყნებიან, სრულ კმაყო-
ფილებას აცნადებენ, თუ რომ მათი „მურკა მურკა“ ქარ-
თულ ღაზარაკს ვერ ასერნებს და უცხო ენაზე ტეიპი-
ნებს“ ...

ერთი რუსი მასწავლებელი ქალი გულწრფელად
კვიკვიინებდა: „თქვენ, ქართველებს, ღაზარაკის მეტი არა-
ფერი შეკიდათ, ეველს თქვენი მისწრაფება მისწრაფებად
რჩება, ბევრ ქართველ ინტელიგენტს ვიცნობ, რომლებსაც
ვითომდა ქართულ ენის მოფარველ ადამიანად თავი მოაქვთ,
მკრამ მისი შვილები კი ქართულ ენაზე არ კი ღაზარა-
კობენ. მე არ მესმის, კვარობდა მასწავლებელი, ამ გვა-
რი ინტელიგენტი რადათი იცავს ენას, თუ არ იმათა,

რომ თავის შვილს ზატარაობით თავის ენის სიყვარული
გულში ჩაუნერგოს! აი კიდევ ეს არის მიწეზი რომ თქვე-
ნი ახლგაზრდა მასწავლებელი ქალი თუ კაცი უგულოდ გზ-
ერობით ქართულ გავკეთილებს.“ დიან, სრული ჭკმარა-
ტეობან რუს მასწავლებლის ქალის სიტყვები. ვინ არ იცის,
რომ ქართული ენა დეკნილი და გაღანდლუდა, რომ მას
ღირსეული ადგილი არ უჭირავს ჩვენ სსწავლებლებში და
ის მკალითი, რომ ერთ სსწავლებლის მიწაფეებმა შეკო-
ხვევით ჩამოხულ შეთვალეურეს შესწიფელს, რომ მასწავ-
ლებელი ქართულ ლიტერატურას სსწესებით არ გვასწავ-
ლისო. შეთვალეურე მხნელემ შენიშვნის მკვირად მას-
წავლებელი დასაფილდობლად წარადგინა, მკრამ უბედუ-
რობა იმათა, რომ ჩვენც ხელ უწყოთ მათ ამგვარ შეუ-
რიგებელ მძებრობას და მათთან ერთად შეურაცხყოფით
ჩვენ სამშობლო ენას...

გ. მოუსვენარიძე.



ნეტა ახალს რას მოუთხრობს!..

მთის გადაღმა მდინარე სჩქეფს,
მის ბანს უთხრობს არე-მარე,
ხმას გამოსცემს იღუმალსა
მისი მთქმს მგლოფიარე.

სლამოს ზირს ნანად მესმის
ჩათხრობილს ველს მწოლარეს,
გატაცებით შორს, შორს მაესდეკ
ახვართებულ ფიქრთ მდინარეს!

და ვკითხულობ, — ნეტა ახალს,
რას მოუთხრობს მშობელ არეს?!..
ნუ თუ კვალად დამტარებან,
არარად ქმნას, სიბეჭავს?!..

გ. ალულიშვილი.



ბელი მგოსნისა

ღრამა ხუთ მოქმედებალ.
მოქამაღება პირველი.

(გაკრძელება)
სურათი III

ბალის ბოლო (მთავრე ახლად ამოდის)

ნიკ. გრძნობა, რომელიც ამას წინად მოწმედ იყო.
და ხან რომელიც უაღრესად იტანჯებოდა, —
უტბად მობრუნდა, გადააფინტა მან გულის სევდა
და აგერ იგი კვლავ მიეცა ნეტარებასა!

რა მიზეზია? რისგან მოჰხდა გრძნობის ცვლილება?
იგი მოვლენა ცხოვრებაში ხშირად არ ჰხდება!
მაშინ განვიცდით, ოდეს გული სატრფოსა ჰპოვეს! —
ფეხის ხმა მესმის!.. ოჰ, ეს გული რა რიგ კანკალებს!
(შემოდის თამარ თუთრ აბრეშუმის ზარბაზნით გახვეული)

თამარ. ვინა ხარ მანდა?

ნიკო. ვისაც სწორად შენ აქ მოსვლასა!
წმინდა კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
მწარე სიცოცხლეს ირგვლივ მოჰფენს ნაზს სიხარულსა!

და მაშინ იგრძნობ უკვდავ ნეტარ სანუკველს,
რომლის უტკბილესს ვერც თუ ჰპოვებ ცის სასუფევლს.

თამარ. მე შენი თავი ლექსთა გამაცნეს,
გულს წმინდა გრძნობა გამიცხოველეს,
ზოგსა ზებირად მათ ვკითხულობდი,
ზოგს აღტაცებით თარს დავმღეროდი.
ღრმად გულში ჩამწვდა. არ მავიწყდება.
პოემის გმირი ნაზ გრძნობიანი;
მისი გულის თქმა და მისწრაფება
ღიახ, რომ არის სამართლიანი!
უფრო უაღრეს მით ამიტაცა
და მომიხიბლა მგზნებაზე გული,
რომ მარად სატრფო მას თანაუგრძნობს,
აერთებთ წმინდა მათ სიყვარული—
აგერ, იქ დავსხდეთ, ხავსიან ქეაზე,
იქ ვებაასოთ ჩვენ ერთმანეთსა;
(ხავსიან ქეაზე, წყლის ზარად ჩამოსხდებიან, შირს
ბუჯბუჯი უსტვენს)

გესმის, ბულბულიც სტვენითა გვატკბობს,
მით ხელსა უწყობს ამბოროს, ალერსსა!

ნიკო. მუსიკის ჰიმნი მესმოდა სადღაც,
ფოთლის შრიალი მიმღერდა ნანას;
მე მაშინ ვიწვევ, როს შავი ნისლი
ჯერ არ განყროდა ბედკრულ ქვეყანას.
თითქოს იმ დღიდან მიყვარდი უკვდავს,
შენთან დრო დავყავ შეუშფოთებლად;
ის იყო ჩვენი ტკბილი სიზმარი
აწ სანეტარო მოსაგონებლად.
ეხლაც, როს გიმზერ, აქ აღარ ვცხოვრობ.
სულ სხვას მიხატავ უცხო სამყაროს;
სოფელს ვშორდები და ზეჰეყენისაკენ
მიმიწვევ, მივჭრი შეგების სამთავროს!

თამარ. აბა, გაჰხედე, წყლის პირს ყვავილნი
როგორ ერთმანეთს ეკონებიან;
თითქოს მხურვალე ფიცსა აძლევენ,
როს ერთმანეთის შეიქნებიან.
აგერა, თითქოს ნაზად ჰკოცნიან,
ნეტარებაში იმყოფებიან

ნიკო. არა, ძვირფასო, ჩვენ არა გვანან,
მხურვალე ფიცი სატრფოს შეჰფიცონ;
მიტომ გაშლილან ესრედ ნარნარად,
რომ სურნელებით აქ ჩვენ დაგვატკბონ.

ჩვენ მაგათ შეესტრფით, ეგენი მზესა.
ცხოველ სხივთ ტრფობით ეგებებიან;
მაგრამ არა აქვთ დღე მათ ხანგრძლივი,
ესრედ ტურფანი მალე სქენებიან.

მითხარ, მნათობო, ეს სიყვარულიც
ყვავილებს მალე ხომ არ დასქენება?
ხომ გეყვარები შენ სამუდამოდ
და ალერს ბოლოს არ მოკლება?

თამარ. ჩემო ძვირფასო, წრფელ სიყვარულსა
ბოლო არასდროს არ მოკლება;
იგი პაწაწა, ვით ნაპერწკალი,
ავზნებულ ცეცხლად აპილილდება!

ნიკო. ოჰ, ანგელოზო! შენი ტკბილი ხმა
და ეგ სიტყვები მე გულს მიხარებს.

შენა ხარ ჩემთვის მზე სხივოსანი,
რომელიც ღამის წყვილადს აქარწყლებს.
და რომ დამეხმოს ციური სხივი,
განა არა ვგრძნობ რაც გადაძნდება?

ცოცხალი ჩავალ ციესამარეში,
სული ნათელი კვლავ დაბნელდება!..

თამარ. შენ ექვობ კიდევ? რად ამბობ მაგას?
აწ წართმევისა ნუ გეფიქრება!

მაგრამ ვინც ექვობს, ეგ იმას ჰნიშნავს,
რომ მიწყით სატრფო მას ეყვარება! (ნაზად მუკრდს
მიუყრდნობს და შავ თმას გადაშლის)

მე დაგივიწყო? — ჩემი გული მაგას ვერ შესძლებს,
შენთან შეგუვილს თვით სამარე ვერ დამაშორებს!
ჩვენი მოწამე იყო მთვარე და ყვავილები.
რომ სამუდამოდ, ჩემო სულო, შენ მეყვარები?

ნიკო. რავდენს განვიცდი ამ წამებში მე ნეტარებას!
განა თუ ვინმე აწ გამოსთქვამს ჩემს აღტაცებას?

რასაც გული ჰგრძნობს,
ენა ვერ ამბობს! (მთვარეს)
მთვარევ, გაგვშორდი! ასე მკრთალად ნუ გვაფრქვევ
სხივებს!

ჩემს ახლოს მყოფი შენზედ სრული ნათლად ანათებ.
ან არა!.. დაე, მოწამად იყავ აქ ჩვენთვის მთვარე,
და წმინდა სულის სიყვარული შენ ჩაიბარე!

ფ ა რ დ ა

მ რ ქ მ ე ღ ე ბ ა მ ი რ ი

სურათი I

ბ ა ლ ი .

(ბადის ბოლოში, სეიუნის ქვეშ, ზის თამარი და ჩანგურს
უკრავს, შემოდის ლევანი და აჩილი ლაზარაკით)

ლევან. ჰო, ასე, ასე! საქმე მწყობრად დაგვირ-
გვინდება!

აგერ, ხომ ჰხედავ, ხის ქვეშე ზის, ბალის ბოლოში!
აჩილი. ვხედავ!.. თამარო?

ლევან. ჩანგურს უკრავს, სწორედ ის არის!
წადი შენც მასთან, დღეის იქით იგი შენია!.. (გადის)

არჩილ. ოჰ, ეს გამოთქმა: „ღღის იქით იგი შენია!“

რადენს სიხარულს, ნეტარებას მე მაგრძობინებს!
თამრო ჩემია, არვის ძალუმს მას დამაშოროს.
(თამროს ახლავს მუკა, ხეს ამოეფარება და ეურს უკდებს,
მარცხნით შემოდან ნიკო და ირაკლი)

ნიკო. (ხუმად) შენ მეგობარო, ყურს უგდებდი იმათ ლაპარაკს?

მაშ მართალია ყველაფერი, რაც მე გავიგე?

ირაკლი. მერე, რა მოჰხდა? მითხარ, რისთვის გაჰფითრებულხარ?

ნიკო. მათ ლაპარაკსა ყურს ვუგდებდი და მთელს ჩემს სხეულს

ნემსებრ სწვლეტავდენენ წარმოთქმული მწარე სიტყვის იყო ადრე ახლობელი ჩემი ნაცნობი | ყვები და მაშინაც კი სულ არ მახსოვს მისგან კეთილი, მას ჰშურდა ჩემთვის ყველაფერი და ჯიბრში მედგა! დღესაც ხომ ჰხედავ, ჩემს სამტროდა ნალველ-შხამს ანთხევს.

(არჩილი თამროს მიუახლოვდება და თვალებს აუბამს)

არჩილ. აბა, ვინა ვარ, გამოიცანი!

ნიკო. ჰხედავ, არჩილმა აუბა თვალი!

ჩემი ეჭვები თითქმის მართლდება.

ღმერთო, თამარიც არ ეურჩება!..

(ხმაღზე ხელს იტაცებს) ნებას არ მივცემ!..

ირაკლი. მოიცა, ძმაო, ნუ გინდა სისხლი!

ნიკო. ჰო, მართლა, მართლა! ამით მხოლოდ სატრფოს დავტანჯავ! წამო, გავშორდეთ! (გადას)

არჩილ. (თამარს) ვერ გამოიცანი!

თამარ. ვინც უნდა იყო, გამიშვი ხელი!

(არჩილი ანთავისუფლებს, თამარ ზიზღით უცქერის და შემდეგ გადის)

არჩილ. (მარტვა ჩაფიქრებული) სულ არ მიკარებს თავისთან ახლოს,

მე შორს გამიბრბის და ვეჯავრები;
მაგას სხვა უყვარს, სულ სხვას აღმერთებს,
სხვას ემონება ნორჩი გრძნობები!
ნეტა ვიცოდე, ვინც არის იგი,
გულს გავუბობდი, არ ვაცოცხლებდი;
და თავისუფლად ნეტარებისკენ
ეკლით მოფენილს გზას გავიკვლევდი!
(ჩაფიქრებული გადის. შემოდის თამარი, უკან გამდელი მოსდევს)

თამარ. ჩემო გამდელი! ცოტადენ თუ გიყვარს პატარა თხოვნა აღმისრულე! | თამრო,

გამდელი. მითხარი, შეილაო!

თამარ. აქ მოსვლის ნებას ნულარ მისცემ ვილაცა არჩილის!

შენ შეგიძლიან აუკრძალო, აქ ნულარ მოდის!
როგორც მითხარი, დედაჩემმა ხომ თვის სიცოცხლის უკანასკნელ წუთს ჩემი თავი შენ ჩავაბარა და გთხოვა კიდევ მფარველობა ჩემზედ მოგვლა, მის დამიფარე, აუკრძალე, აქ ნულარ მოდის!

გამდელი. ვით აუკრძალო, როს მამაშენს საქრ-
მოდ ჰსურს, შეილაო?

თამარი. (მწარედ) ჩემს საქრმოდა ჰსურს!..

(დაღანებული) აღმისრულე მაშ მკირედი თხოვნა:

დამტოვე მარტო! (გამდელი გადის)

გული ხან შეოთავს, ხან კანკალებს, ხან მზიარულ-
ლობს

და არ ვიცი კი, ეს ცვლილები რისგანა ჰხდება!
ამოდ ვცდილობ, აწ ვიფიქრო სულ სხვა საგანზე,
ამოდ ვცდილობ ეს სევდები შორს გადავფანტო.
ვის შეუძლიან დაამშვიდოს მწუხარე გული,
თუ არ იმას, რომელიც მას უყვარს, აღმერთებს?
ჩემი გონება, ჩემი გული ერთ წერტილს უმზერს,
მხოლოდ იქიდან ელის სიტკბოს, ბედნიერებას
მაგრამ, ვაი, რომ მელოდება აქ მამაჩემი
და ჩემს სიხარულს, აღტაცებას სცვლის სიმდიდრეზე.
(ჩანგურს უკრავს და ზედ დამდევს)

არა, არ მსურს ოქრო, ვერცხლი,

არც დიდება ჩქარად მქრალი;

თავს მაშინ ვგრძნობ ბედნიერად,

ოდეს სატრფო ჩემთან არი!

* *

ოჰ, ტყუილად ნუ სცდილობენ,
სხვას აკუთვნონ ნორჩი გული;
მე სხვისი ვარ, სულ სხვას ვეტრფი
სიყვარულით აღგზნებული! (სამდევანს ათავსებს)
(აფხუბათ) ახ. ნეტა ნიკო მოფრინდებოდეს.
სევდა მტანჯველი გამშორდებოდა;
და უსაზღვროსა კვლავ სიხარულსა
ტანჯული გული მიეცემოდა!..

(შემოდის ნიკო და ხეებ შუა გაჩნდება)

ჩუ, ვილაც მოდის, ვანა ხარ მანდა?

ნიკო. უარყოფილი ადამის შეილაო!

აქეთ მოვდივარ, მეგობართან გამწარებული,
მსურს მას ვაუწყო ჩემი გულის დიდი ქრილობა,
რომელიც თვით მან მომისაჯა მოულოდნელად.

თამარ. ნიკო, შენა ხარ!

ნიკო. არა, ნიკო აღარ არსებობს.

აჩრდილიდაა მხოლოდ მისი და ის აჩრდილიც
მალე, სულ მალე აღიგვება მიწის პირიდან!

თამარ. რად ამბობ მაგას?

ნიკო. სატრფომ დამგმო და დამივიწყა!

თამარ. რად ამბობ მაგას? ექვითა ხარ შენ შებ-
კრობილი!

ბოროტმა ენამ რა გასმინა, გამაგებინე?

ნიკო. არა, თვალემა დამანახევს!

თამარ. რა? დაათავე.

მითხარ, ძვირფასო, ყველაფერი ასე რად თრთოლავ?

ნიკო. ვითხარა?—რა ვითხარა? იფიქრე და გავა-
ხსენდება!

მაგრამ რად სტყუი? მე ძვირფასი შენთვის აღარ ვარ!

თამარ. (შემკრთალი) რაო, ვგ რა სთქვი?

ნიკო. სიმართლე და ქეშმარიტება!

თამარ. მოსტყუებულხარ!

ნიკო. არა, თვალი შორს მქვრეტელია!

თამარ. შენ ცილსა მწამებ!

ნიკო. აღვილია თავის მართლება!

ნუ თუ არ გახსოვს ბაღის ბოლოს, მთვარიან ღამეს,
ჩემო მტანჯველო, რისთვის სდებდი ფიცსა მხურ-
ვალეს?

თამარ. ჩემო ძვირფასო ექვიანობ! ეგ ტყუილია!

ნიკო. წინად მეც იგი არა მჯეროდა, მაგრამ
ვიხილე

და თვალით ნახულს ბედკრულმა ვით არ დაეუჯერო?

წყლის პირად ვნახე, მოვიახლოვდი
სულით დალილი და დაქანცული,
შენმა ღიმილმა გულში აღმიგზნო
მაღალი გრძნობა და სიყვარული.

მე ვსდუმდი, ტურფავ, არას ვამბობდი,
დაღონებული შემოგცქეროდი;
თეთრ ყვავილების კონას მაწვდიდი,
თან ნაღვლიანად ჰანგსა მღეროდი.

მე ის სიმღერა გულს შთამრჩენია,
მწარედა ვსტირი, როს მაგონდება;
თურმე შენ იყავ ჩემი სიცოცხლე
და მე უშენოდ—ამაოება!..

იქ გელის, სწორო, რისთვის მიმტყუნე?
რად დაჰგმე გრძნობა? რად შეიცვალე?
უმანკო ტრფობა, ჩვენი ალერსი,
მითხარ, სად გაქრა, ვის ანაცვალე?

თამარ. მე შენ მიყვარხარ!

ნიკო. მხოლოდ სიტყვით!

თამარ. არა გულითაც!

ნიკ. სიყვარულია, როს აქ სულ სხვას ეაღერებენ?
არა, გავიგე ყველაფერი, ნუ სცბიერობ!
და, აქ დარჩი, შენს სატრფოსთან იზნირაბო,
მე კი წავალ შორს, უცხო მხარეს გადვიკარგები,
რომ შენამდის არ მოაწიოს მწარე გოდებამ
და უდროო დროს ნეტარება არ შევიშალოს.
მე გარდავიტან ყოველ ტანჯვას ჩემი გულისას
მხოლოდ და მატომ, სატრფო ჩემი არ შევაშფოთო!
ესლა მშვიდობით! (ჩქარა გადას)

თამარი. მოიცადე ახ, სად მდისხარ?..

წავიდა იგი და სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე.
მას გაუგია, ექვიანობს, რით დავარწმუნო?...
(ღანე მისღაიო ნაძვის ხეს მიეყრდნობა და მწარედ ქვი-
თინებს. შემოდის გამდელი.)

გამდელი. რა ამბავია? ეგ ცრემლები რას, ნიშ-
ნავს, შვილო?

შენი თვალები რაღაც ტანჯვას აშკარავენ?

იქნებ ავად ხარ?

თამარი გული მტკივა....

გამდელი შენ შემოგველე, მაგრამ ერთს გკითხამ,

თამარ. მითხარ ყურს გიკდებ! | გენაცვალე....

გამდელი. (მოკრასლებით)

ხომ არვინ გიყვარს? პირდაპირ გეტყვი. შვილო ჩემო,
ნურც დამიმაღავ!

თამარ. მერე, რა?

გამდელი. შეყვარებული

გული იტანჯვის და მდულარე ცრემლებსაც აფრქვევს.
იქნება გიყვარს შენ ქაბუკი აქ რომელიმე
და ვერც კი ჰბედავ სიყვარული მას გაუმელანო.
ვიცი, არჩილი სულ არ გიყვარს, მამა გაძალეს,
რადგან იგია ჩვენ მხარეში წარჩინებული.

თუ მის შესახებ, ჩემო კარგო, რამესა მკითხავ, —
მეც სწოედ გეტყვი: სულ არ მომწონს იგი ქაბუკი!
ქრელი თვალებით იცქირება მეტად ბოროტად
და ლაპარაკში ცბიერობა ძრიელ ეტყობა!

თამარ. ჩემო გამდელი! შენგან მესმის ევე სიტ-
სიტყვები?

მამ შენც არჩილი გეზიზღება? მითხარი სწოორე.

გამდელი. (შეშინებული) ჩუ! მამაშენმა არ გაგვი-
გონოს! გაგვირისხდება!

თამარ. ასე მეგონა, თუ ამ ქვეყნად მარტო მე
ვიყავ

და ჩემი ტანჯვის თანამგრძნობი არვინ იყო,
მაგრამ საქმით კი სულ სხვა ჰხდება! ოჰ, გმადლობ,
ღმერთო.

კიდევ მყოლია თანამგრძნობი... — მაგრამ იქნებ
მცლი?

იქნებ გულის საიდუმლო გინდა გაიგო
და წინ აღუდგე სხვებთან ერთად შემდეგ ჩემს სურ-
ვილს?

თუნდ ასეც მოხდეს, მაინც გეტყვი: მე ნიკო მიყვარს...
(შეკრთება)

გამდელი. რაღაზედ ჰკრთი? ნუ თუ მართლა შენ
ნიკო გიყვარს?

ღიან, მე ვიცნობ იმ ქაბუკისა დაახლოვებით!
მამა მას ჰყვანდა აზნაური და შეძლებული,
მაგრამ, როდესაც მას მეუღლე გარდაეცვალა, —
მაშინ ჯერ ნიკო არც კი იყო თორმეტის წლისა, —

ისიც მის დარდას თან გადაჰყვდა, მოჰშორდა სოფელს
და თავის შვილს კი დაუტოვა დიდი შეძლება.

უცხო ქვეყანას იზრდებოდა ის ნათლასთან,
მაგრამ ესლა კი მამის სახლკარს დაჰბრუნებია.
გულ კეთილია და ნასწავლი ამ ჩვენ მხარეში
და არც არავის ჩამოჰრჩება სილამაზეში.

თამარ. ჩემო გამდელი! მაგ სიტყვებსა ნუ თუ შენ
მასმენ?

გამდელი. (გარედ ლაპარაკი ისმის)

ეს რა ხმა ისმის? ვკონებ, შვილო, აქეთ მოდიან.
ხმაზედა ვატყობ, არჩილი და მამაშენია?

თამარი. წამო, გავშორდეთ!

(წასვლას აზრებენ. ამ დროს შემოდის ლევან, უკან არ-
ჩილი მოსდევს. ლევანს თამარის შეაკენებს)

ლევანის ხმა. შენ მართალი ხარ! ყველაფერს შენ დაგიმტკიცებ! მე გარდავსულოვარ, სიბერე მჭირს... შენ მართალი ხარ! მობრძანდი ასე, ჩემი ქალიც აქა ყოფილა! — რა არის, შეილაო, სულ რომ ასე მოწყენილი ხარ? რად დავღვრემილხარ, ჩემო გვრიტო, გამხიარულდი!

ა. შანშიაშვილი.
(შემდეგი იქნება)

სიმახინჯე

ღრამა 4 მოქმედებად. 5. შუიკაშვილისა

შაქრო. წიგნი განათლების აღსავლის კარია და, მაშასადამე, შენ საზოგადოდ წინააღმდეგი ჰყოფილხარ!

ილიკო. დაიხ, იმ განათლების, რომელსაც ესლახეუნი ახლგაზრდობა ხორცსა და სულს ალექს! იმ განათლების, რომელსაც არაფერი საქმიანობა არ მოსდევს!

შაქრო. შენ რომ არ დასახინრდი მკ განათლებით, რაღა გაჭირს!

ილიკო. მეც ერთ დროს გბილებს ვუკრატუნებდი სწავლას, მაგრამ დავხედე, რომ მშობლების და საზოგადოების ბძიშე ბარკად უნდა გავმხდარვიყვ და უარი ვთქვი: საქმე გავიხინე და ესლახე თქვენ არც-თუ ისე ძლიან შემოგნატრით... ვინ იცის, იქნება მეც თქვენსავით დასწეულე ბული, უახრო მოხელე გავხდებოდი, — მცემდნენ თავში ზემოდგან, ვცემდი თავში ქვევით და ამით ვთავადებოდა ჩემი „განათლებული“ მოღვაწეობა!.. ესლახე მე თავისუფალი აღამინა ვარ და პირადი ამმარტავნობაც შელახული არა მაქვს მინობით!.. მომავალი ჩემია... ჩემი შვილების! თქვენისთანა მოყოლურბული, სიცოცხლეს, მოქმედანობას მოკლებული განათლებული ახლ-თაობა-კი ქართულობას გადაგვარებას უპირობით! უმზეო-უჭკურად, შიშხილ წყურვალში გატარებული ავლგაზრდობა... სამსახურის უნიჭო, უმოქმედო, მინური რეჟიმით გაუქვითილ მოხელეს ჩამომავლობაც სწეული მონა ეუფლებს!

სონა. შაქრო სამსახურზე-კი არა -- განათლებაზედ აღმარკობს.

ვასო. მართალია, სონა, მაგრამ ჩვენში სწავლას თითქმის აუცილებლად სამსახური მოსდევს. ახლ-გაზრდობას ტრანსპობა ავიწყდება და თავის განათლებას ახლურბებს „ოცის“ ბაირადის ქვეშ!

ილიკო. სწორედ! მე ხომ განათლების წინააღმდეგი არა ვარ, სონა, მაგრამ აი კიდევ ერთი მხარე: ზური რომ გეშოდეს, მანც მშობლებს ზირადან ლუკმას არ გამოფაცლით; სწავლისთვის-კი... (მიიხედ-მოიხედავს) მშობლებს სულს ვაცლით!

შაქრო. თუ შვილების დაჩენა იტანს, უნდა გაზარდონ კიდევ მოთხოვნილების დავარად:

ილიკო. არ ვიცი, რა უფრო გავიგვარებო — შენი ეკონისტობა, თუ შენი უმეტრება? ევროპაში ბუნების-მეტეოლოგიას სწავლობ და გამრავლების ინსტიტუს რადგან დროების მოთხოვნილებას უპირდაპირებ! სუ-თუ შვილების დაჩენა იმისთანა ცოდვას, რომ აუტანელი ტვირთად სიცოცხლეს უსწობათ მშობლებს, ზირაფების უღასხვთ, უსინდისობაზედ თავს ადებინებთ?

შაქრო. უსინდისობისთვის მშობლებს ზირველი მე გამოუყვსადები ზიზღს!

ილიკო. ბრტყელი სიტყვები და ვიწრო შინაარსი! (შეატრად) ვისაც თვეში შვიდი თუმანი აქვს შემოსავალი, შეუძლიან იმას თხუთმეტი ხარჯის ზატოხსურად? თქვენს გულისთვის ამ საზიზღარი სხას მონად გადაიქცა, თქვენი გულისთვის უხნეო, ბრევე უფროსებს ფენ-ქვეშ ქმეღებიან! თუ მკოდენა სიამავე გაქვს, რატომ ხელს არა გწავს ეს დამცირებით მობეუბული ფული, რომელსაც ევროპის იდიოლოგობაზედ ხარჯავ?

შაქრო. (სუსტად) ზროგრესისთვის აუცილებელი ხდება მისხვერბლი.

ილიკო. მაგისთანა ზროგრესი უკან დახევას!.. ზროგრესისთვისაც ზირობებია სწორო და არა ძალ-დატანება!

შაქრო. მამ დაუსხდეთ ურემს და ვაჭრიადეთ!

ილიკო. დაუსხდეთ, თუ კი ჯერ მეტს ხელი არ მიგვიწვდება! ჩვენ-კი ურემს უხსედვართ და გაცოფებული ვერგებთ, რომ ორთქლითმავალს დაეწიონ, — ურემი გვეტრევა, კამეჩება გვეხრცება და მიზანიც უფრო შორსა გვრჩება!

შაქრო. შენი შვილები დაზარდე ახალი მეოთხით.

ილიკო. გეფიცება, ვეცდები ავადანო ჩემს შვილებს სწეული, უმოქმედო განათლება! (მიუბრუნდება სონას და მეგობრულად) სონა, აქ უცხა ზირი არ გვირევიან... ზირ-და-ზირ გეტყვი: მე რომ ვახსოვს ადგილას ვიყო, ზირობად დავადებოდა — ან წიგნებია, ან მე!

სონა. რა ხანე ამ წიგნებშია?!

ილიკო. წიგნებში არაფერი. მაგრამ ზომს რომ აღარ იცით! ამა შეხედე შენ თავს! შენ რომ წიგნებია არ გართობდნენ, იქნება ძალა-უნებურად გაგებეთინა რამე, — ეს შენთვისაც და საზოგადოებისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. ან რა ჩამომავლობა უნდა უხდუნა საზოგადოებას ეგრე მოხვარსლუღმა!.. წიგნი, წიგნი! — დავაგერებოთ ემილს ენახედ! აქ სახიფათო არის საზოგადო რწმუნა, ვითომ თვით წიგნის კითხვა ისეთი სწავლია მოქმედებაა, რომ შეკიდიან მთელი შენი სიცოცხლე კითხვაში გატარო და, თუნდა მცირედი რამ ცოცხალი საქმეც არა ააერთო, მანც ნება გაქვს განათლებული და სასარგებლო წყურვის სახელი ატარო! წიგნი მოქმედანობას უნდა აცხოველებდეს და არა სწობდეს!

გიორგი. (უცებ წინ წამოდგება) ილიკო, მართალია! ჩვენ კლასში ვინც უფრო მეტს ჩასჩინებებს წიგნს, უკვლახე უტვირთ ის არის! (ყველას საშინელი ხარხარი აუტყდებათ; კარგა ხანს ესე იცინიან)

ილიკო. (სიცილით დასუტებული ხელებს იქნევს) ეელი გამომწრა, ეელი!.. (შემოდის ღარი. იმა-საც ძალა-უნებურად ეცინება)

ღარი. რა დავმართავათ... რაზედ იფხინაქებოთ?..

ილიკო. (განაგრძობს სიცილს) აი, აი!.. (უჩვენებს გიორგიზედ) ჩემმა მტერ-მოყვარემ ეელი გამომწრა!..

(შემოდის შუა კარიღიან თომა; ხელში „ჩხნა“ უჭირავს.)

თომა. (ეცინება) რა ამბავია?... თქვენი ხარხარი ქუჩაში ისმის!

მარო. (წამობტება) აი თეფხის სიხარული გვაქვს!.. წავიდეთ ჩვენს სადილად... თეფხის მეტი-აი არა გვაქვს-რა... იცოდეთ!

ილიკო. (მივა და თომას ხელს გადაჰხვევს) ჰო, ჰო, თომა, წავიდეთ! ისეთი ვახური ვაშოვებ, შენი მოწონებელი!

თომა. არა, ჩემო ილიკო, მე დადლილი ვარ... ახალგაზრდას წადით, იქეიფეთ.

ვასო. არა, არა, უთქვენთ არ იქნება!.. შერე რა თეფხი დავაჭირეთ—ზურგეული, დოში!, (სონას გადახედავს)

თომა. (ღიმილით) მისხრად ასვლება თავი ზედა გაქვთ... (გაღის. მისდევს ღარიბი.)

მარო. წავიდეთ, სონა, შენ ხომ არა გიძლის-რა!

ილიკო. მგას რადა ჩაჩინი უნდა!.. ვასო, ჩასვი მაგ თეფხითან და წამოიფანე! ახა, შაქრო, თუ თეფხის გაკეთების მაშველი, ეხლავ წამოდი, თუ არა და ერთი საათის შემდეგ.

შაქრო. როგორღაც გუნებაზედ ვერა ვარ!

ილიკო. ძნელაძეებო, მიაკრუნხეთ?.. ვისაც გინდათ წამოდი, ვისაც არა—არა! (მიღის) სონა, წამოდი, თორემ არ გაამბობ, რა მოუვიდა ვასოს თეფხობის დროს!..

ვასო. აჰ, აჰ, ჭკრანობა არ იყოს!

ილიკო. (მობრუნდება) მას უთხრა?

ვასო. პირზედ ხელს აფარებს) ხა, ხა, ხა! გასწი, გასწი! (კარებისაკენ ავდებს)

ილიკო. განა! (მიღის) მარო, არ დაიგვიანო.

მარო. მოვდივარ.

ილიკო. (ვასოზედ) იმ სუფთა ემაწვილს ხელი გაუფანე! (გაღის)

გიორგი. მეც მოვდივარ!

ილიკო. (კულისებიდან) მას თეფხი ვინ უნდა გამაინაწლებს! (გიორგი გარბის)

ვასო. გაიარე, აი ესეც წაიღე... მეც ჩქარა მოვალ. (აძლევს თავის აბჯას. გიორგი გირბის შაქროც გაღის თავის ოთახში.)

მარო. ხომ მოხვალ, სონა?

სონა. მოვალ

მარო. (აკოცებს და მიღის, ვასოს ეშმაკურად) თქვენ, ემაწვილთ?

ვასო. (ღიმილით) ესლავ მოვალ.. (მარო გაღის) (ვასო მიუახლოვდება სონას, ჰსურს მოეხვიოს და აკოცოს)

სონა. (არა ნებდება) არა, ვასო, შენი ჭირიმი!..

ვასო. (ხუმრობით ხელებს დაუჭერს) შენც როგორ მოკვირდ, შე ჩაბრავ!..

სონა. (უძალიანდება და წრფელის ხვეწნით) ნუ, შენი ჭირიმი. ვასო!..

ვასო. რატომ, გოგო?!

სონა. არა, არა, ვასო!..

ვასო. (ხელებს გაუშვებს და ცოტათი უკმაყოფილოდ მოუხდლება გვერდით) ზირველი უთახნობა ჩვენი შეერთებისა!..

სონა. შენი ჭირიმი, ვასო, ნუ გეწვიება... ხომ იცი ჩემი საძაგელი ბუწიაობა!

ვასო. არა, არა, ეგ ბუწიაობის მიზეზი არ არის!.. ეს მშვენიერი ზაფხული, თავისუფლება, ახალგაზრდაობა, სიუფარული, იმედი... ერთი სიტყვით, ჩემში სიტაცხლე ძლივს-და ეტყვა!.. მინდა აი ეს სავარძელი, იატაკი, კედლები მაუღეწ—მოვლევწ, შევეტავა, შევარეო!.. ახა შენმაც ესე სჩქეფდეს ახალგაზრდაობა, თუ ზირველი არ მომეხვევადი!

სონა. (ჩაფიქრებული, იქნება მართალიც იყო!.. (გაეცინება. ხელზედ ხელს დაადებს ალერსით) ამ კედლების მაგივრად ეგ ახალგაზრდული ჟინი რომ მე მომმართო რადისზე, შენ სონადგან რადა დარჩება?! (ასე გონია, შიშით მოიკრუნხება და ქვევიდან ალერსით შესცქერის) ჩემი ლომი!

ვასო. (ხელზედ ხელს მოუჭერს) ნუ გეძინებ! ჩემო გვრიტო! (მიიზიდავს. სონა არ ეწინააღმდეგება. ვასო ჰკოცნის) ხა. ხა. ხა!.. აკი არ გნებავდა... ხა. ხა, ხა!

სონა. მაცდურო!..

ვასო. ცოტათი რომ გამოვასწრე შენი გრძობა, მაშინვე ღოფა მომიშვირე... ხა, ხა, ხა!

სონა. საძაგელო!..

ვასო. (უცებ სერიოზულად) ეს ყველა კარგი, მაგრამ... ერთი რამ მაქვს სათქმელი! (ორთავეს უღარ დელობა ეკარგებათ; სონა, შეშინებულივით ყურს უზღდებს)

სონა. სათქმელი?

ვასო. ჰო, სონა!.. (მუხლებზე ხელებს დაილია-გებს და ძირს იყურება. მთელი შემდეგი სცენის დროს ესე ზის; სონას ერთხელაც არ შეხედავს) დიდი ხანია მინდოდა ამის თქმა, მაგრამ ვერ გადამიწყვიტა—საჭირო იყო, თუ არა... მქონდა ამის თქმის ნება, თუ არა!.. (პაუზა) დღეს თეფხობის დროს ერთი სურათი ვნახე... წელის ზირას ჩრდილში ვიკავი წამოწოლი და დადლილი ტკბილად ცხენებამ შემიპურა—ვიფიქრებდი შენზედ... იქვე ახლოს. ბუჩქებში შევამხნიე ორი ღამაზი ჩიტუნია—ეტუბობდად მიჯნურები იფუნქ!.. მამალი—გამხობრილი, ჩინას-გაბერილი უხტოდა გარეშეში და ამაუდ რადანს დასტრინხებდა!.. შერე-გი, ასე გონია, ვერც-გი ამხივესო, კველუცად ისწორებდა ბუმბულს ზაწია ნისკარტით; ხან ფრთის ქვეშ შეიყოფდა, ხან ზურგზედ გადატანდა, ხან შეიბერტებოდა, რომ აბურბურული ბუმბული უფრო ტურფად და კველუცად დაეკავებინა თითის ტოლს სხეულზე. უცებ—იმათ სიხფოფეს ტუფისაწვით დაეშო მესამე ჩიტუნია!.. ნემსივით წვირდ ფეხებზედ კახტად აქანავებდა გავწილად კუდს და ეელ-მადეკებოლი თამამად უმხერდა და მიჯნურების ბედნიერებას!.. ზატარა ჩიტუნია განანა და შემიხებული შესტქეროდა სტუმარს. მამალი კი ჯერ შედგა და ამაუდ გადაჰხედა მოფრენილს, შერე თავის სატრფოს გადააგლო თვლი, შერე ისევე შერეის და... დინჯად გვერდ-გვერდ მიუხლოვდა სტუმარს... იმანც კველუცად დახარა თავი და რადანს შესტკიპიკა... მამალი უფრო მეტის სითამამით მიუხტა და ფრთა ფრთას შახო, დაიჭრინების მხიარულად სტუმარმა და გაქარა!.. მამალს

ჯერ, ასე გონია, გამოდგენება უნდადა, მაგრამ უიშვლად შედგა, დაფიქრდა, გადასვდა თავის მეგობარს და გაბუღდა-ვად, ფრთხილად მიუხსნოდა. გამწარებულმა ჩიტუნამ დაიფრთხილა და თვალის დახმამსაშუალებად გაქრა... ზარდაცემული ორგულიც გამოიკვია უკან!.. (პაუზა)

სონა. (გამშრალი, გაფითრებული, ჩუმად) ბოლო სდაზრის?

ვასო. ესეა!.. ამ სიმაწვლის წინადა, როცა ზირველად ჰეტერბურგში ჩაკედი, კაკუთილი ვიშვინე ერთ მდიდარ ოჯახში. ისე მიმიღეს, როგორც შვილი და მთელ ჩემ თავსიყვავდ დროს იქ ვატარებდი. ქმარი იშვიათად იყო სახლში, ცოლი-ვი-იქნებოდა 32 წლისა — დამაზი, კეთილი, .. დედანვით ზრუნავდა ჩემთვის! მეც დიდს მატყვის ვცემდი და უსზღვრო მადლიერი ვიყავი მისი. ერთხელ... კარგად აღარ მახსოვს... სიზმარავით მავტარებდა... დამის ათი საათი იქნებოდა... ქმარი შინ არ იყო, ბავშვებს ეძინათ... მე და ის ვისხედით გაღუბული ბუხრის წინ მშვენიერ რბილ დივანზე, ვხასობდით, როგორ უფულებოვით. კარში საშინელი სუსხიანი დარი იდგა, თოვლ-ქუჩაში... ცივი ქარის ზუზუნია ისმდა და იმ მშვენიერ, ნახევრად განათებულ თბილ ოთახში, იმ გაღვივებულ ბუხრის წინ სდაზრულ ნეტარებას ვგრძობდი!.. ჩუმი ბასი ნელა-ნელა შესწყდა. სითბო გამიჯდა და სიამოვნებით თვალს დავიხრ-და ვახედდი.. უცებ ვიგრძენ, რომ მისი თბილი ხელი ჩემსას ოდნავ შეესო... მინდოდა უკან წამოვყოფო, მაგრამ ვერ დავძარ ხელი... მისი ხელი თან-და-თან შეტანდა ესებოდა ჩემს და უცებ ვიგრძენ თითების ოდნავ მოჭერა!.. გული ამიძგერდა... სუხიქვა შემიქრა... მინდოდა წამომსტარეოე... დამეუფინა, მაგრამ მოჯადოვებულივით ვიჯექ და თვალსუხედ ბინდი შევარებოდა!.. შენე ვიგრძენ ქალის რბილი მკლავი ჩემს კისერზე... თავი მისი აშოფთებულ მდალ გულზედ უდროდ დაუდრდა... და შენე... ღარა მახსოვს-რა!.. გამსჯექ?, (დიდი პაუზა. სონას სიცოცხლის უკანასკნელი იმედი ჩამოინგრა. გაქვავებულს ლელვაც-კი აღარ ეტყობა. უზომოდ ვახსნილი თვალეები რაღაც საშინელებას უმზერენ. მერე სონა დაიხრის თავს მუხლებზედ და ჩუმი, გული-საკლავი ქვითინი ისმის.)

ვასო. სონა, ივლოვე ჩემი სიწმინდის დაკარგვა, მაგრამ დაუფიქრდი, რა გარემოებაში მომესხო ეტ სიწმინდე!.. შე განგებ ავიწერე გერე დაწვრილებით... შე ის ქალი არა შევარებია!.. (პაუზა) სონა, ხამ აიტან... შეუარვლები?.. (ხელსა კვიდებს; უნდა თავი აუწიოს.)

სონა. (უცებ გაიმართება წელში, ნამტირალევი თვალეები მკაცრად იყურებიან და არა ჩვეულებრივის სიმტკიცით ლაპარაკობს) მოთამიქე!, შერიგებაზედ ღაზარავი ჯერ დარეა!.. შე შენთვის მიატებია, მაგრამ შენც უნდა მიატეო!..

ვასო. (გაკვირვებით) ვაბატეო?

სონა. დახ!.. არც შე ვარ წმინდა... მეცა მქვს წასრული!..

ვასო. (შეშოფთებული) რა სთქვი?!

სონა. (მტკიცედ) ისა, რომ შენზედ აღრე შე სხვამ გამოტანა... მომტყუა და თავი დამანება!..

ვასო. (ზარ-დაცემული) სონა!..

სონა. კივირს?

ვასო. ეტ... შეტან დიდი უბედურებას, რომ... დაფიქრე!..

სონა. გეთანხმები, მაგრამ ამის დაფარვა არ შემიძლიან.

ვასო. ვაბატეა და...
სონა. ისარგებლა კიდეც ჩემი ვატანებით!.. იმით მანც დამიშვიდე გული, რომ ნამდივილი სიყვარულით მხოლოდ შენ მიყვარხარ და შეეყვრები კიდეც... წასრულიას არაფერი არ დარჩენილა ჩემს გრძობაში!..

ვასო. (გიჟივით) დამერო!.. ეს მოუფლდელი... აუტანელი უბედურება!.. რატომ აქამდის არ მოთხარ?...
სონა. ვერა ვბედავდი... ვერ გადამეწვიტა, რომ ნება მქონდა დამერდოა შენთვის ნეტარი უყვირება!.. მზატე, ვასო!.. ესეა მხოლოდ შენ, შენ მიყვარხარ!.. (პაუზა)

ვასო. (წამოვარდება) შე... არ შემიძლიან!..

სონა. (წამოღება და წელში გასწორდება) მაშ?...
ვასო. (უცებ) მშვიდობით!.. (გიჟივით ვავარდება)


(სონა კარგა ხანს უყურებს გასავალ კარს. მერე ისტერიული სიცილი აუტყდება და ტირილად ექცევა-დაცემა პირქვე დივანზე, შემოდის მარო)

მარო. (მზიარულად) რას ვაგდევინებთ, სონა?... ეს რა არის?, სონა, სონა!, (ცხვევა და აშოშინებს) რა მოვავიდა, სონა?. რა იყო. შენი ჭირამე?..

სონა. (ადგება, თავს იკავებს, ტრელებს იწმენდს. რამდენადაც-კი შეუძლიან მტკიცედ) ანაკვირ... ვავილის!.. შე სდალათ ვერ მოვალ... შენ შემთარე შერე...
მარო. რა მოხდა?... არ იტყვი?...
სონა. მერე. მერე!.. ესეა წადა... თავი დამანებე!
მარო. ვავათავებ სდალს თუ არა, მოვალ უხანდად ივავ!.. (პკოცნის და მიდის, ერთი კიდეც მოიხედავს კარებიდან და ვავა. სონა ჯერ ესე დგას, მერე შუა კარისკენ წავა და შეეფეთება საბას.)

საბა. აა, მშვენიერ სონას ვახსავარ!.. (სონა შეშინებულივით უკან დაიხეცს და საბას დააშტერდება; მერე უცებ ვავა. საბა თვალს ვააყოლებს) ხე, ხე, ხე!..

ვ ა რ დ ა .



ცერმინების შემუშავების საჭიროება.

ზვირად მსმენია ასეთი ლაპარაკი — ქართული ენა სოფელში ინახება, სოფელია ჩვენი ბურჯიო. ეს მეტად შემცდარი აზრია. სოფელი, გლეხი იქნება თუ სხვა ვინმე, რომელსაც თავისი ხელოვნება ხელოვნურად არ გაუწრთენია და განუფითარებია, მეტად ვიწრო გონებრივ ფარვალში ტრიალებს. აშკარაა, თუ აღამიანს მცნება არა აქვს, იმას ამ მცნების ეამომხატველი სიტყვაც არ მოვებება, მეცნიერების დაკვირვებით, სოფლის ლექსიკონი შეიცავს სამასობდ სიტყვას, ამნაირად სოფელის დონეზე, რომ დავიყვანოთ ენა, ის მაშინ უბრალო საბასო საშუალება იქნება და მეტი არაფერი. პირიქით ენას ანვითარებს ერთი მხრივ მხატვრული მწერლობა და მეორე მხრით მეცნიერება, რომელიც ენას ამდილ-

რებს ახალი მცნებებით და აძლევს სიმტკიცეს და მკაფიობას. რა ენაშიც განყენებული მსჯელობა განვითარებული არ არის, იმ ენას უნა თანამედროვე აზრით არც დაერქმევა,

დღევანდელი ჩვენი უბედურება იმაში გამოიხატება, რომ ხელოვნება და განსაკუთრებით მეცნიერება ქართულ ნიადაგზე თითქმის სრულიად შეჩერებულია. ბევრი ჩვენში გაიძახის: აბა როგორ ვიმსჯელო ქართულად, როცა სრულიად არაფერი გვაქვსო სამეცნიერო. სამწუხაროდ ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდით, რომ მეცნიერულ აზრს დღეს ჩვენში მეტად ცუდი ნიადაგი აქვს. და რაც ჩვენ მამა-პაპათ უშრომნიათ და შეუქმნიათ, იმას დღეს ვერ ვითვისებთ და ვერ განვითარებთ.

იყო დრო, როცა ქართული მწერლობა ღირსეულად იყო გაფურჩქნული და მტკიცე ნიადაგზე იდგა, აკადემიკოსი მარი თავის გამოკვლევაში: „რანე პეტრიწი, ქართველი ნეოპლატონიკი XI-XII საუკუნის შემდეგ სწერს:

მე-X და მე-XI საუკუნეებში ქართველებს ფილოსოფიაში ის საგნებივე მიაჩნდათ საინტერესოდ, რომელსაც ეკიდებოდნენ გულ-მოდგინედ გონებით შესვეფერნი მაშინდელის საქრისტიანოსი როგორც აღმოსავლეთსა ისე დასავლეთს. თუ განსხვავდებოდნენ რითიმე სხვებისაგან, მაგალითად ევროპელები-საგან, განსხვავდებოდნენ მით, რომ მაშინ ქართველნი სხვებზედ უწინარეს ამოიღებდნენ ხოლმე ხმას ფილოსოფიურ აზრის ახალ მიმდინარეობის შესახებ და სისრულით შეიარაღებულნი მაშინდელ დროის მიხედვით სამაგალითო ტექსტუალურ კრიტიკით, მუშაობდნენ პირდაპირ ბერძნულ დედანით ხელში.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ უკვე მე-X, მე-XII საუკ. ქართული მეცნიერება და აზროვნება განვითარების უმაღლეს წერტილზე იყო ასული და საერთო საკაცობრიო ასპარეზზე ქართველებიც ღირსეულად იღვწოდნენ. მიეცი ამას შემდეგ ფართე გზა და მაშინ ქართული ფილოსოფიური აზრი თანდათან გაღრმავდებოდა და წინ წავიდოდა. მაგრამ საუბედუროდ მე-XIII საუკუნეშივე შემოგვესია უღმრთელი მტერი—მონგოლები, რომელთაც შეარყიეს ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება, შესწყვიტეს ჩვენი ცხოვრების ბუნებრივი განვითარება. ამ დღიდან იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არსებობისათვის, ბერი და ერი ხმლით ხელში იბრძვის, რომ თავისი ვინაობა დაიცვას. ამინაობა, მუდამ იარაღის ჩხარუნი კი, როგორც მოგვსენებთ, სრულიად არ უწყობს ხელს მეცნიერებას და საზოგადოდ აზროვნების განვითარების. მეცნიერება მაშინ იფურჩქნება და იზრდება, როცა მოქალაქეობრივი მშვიდობიანობაა დამყარებული. ღიაარი, მხდელი და სუსტი მეცნიერებაშიც გამოუღვეგარია. ხოლო როგორღა მოახერხოს ვაჟაკმა მშვიდ ფილოსოფიურ განსჯას მიეცეს, თუ სამშობლო მეომარს მოითხოვს? ამიტომაც ამ ხნიდან მოყოლებული ჩვენში ვეღარ ვამჩნევთ მეცნიერების შესაფერ ზრდას. მაგრამ მიუხედავად აუტანელ პოლიტიკურ მდგომარეობისა მაინც მეცნიერული აზრი ჩვენში არ ქრება, იწერება გამოკვლევანი, ითარგმნება სხვა და სხვა ფილოსოფიური ტრაქტატები, სამეცნიერო სახელმძღვანელოები. ასე გადის საქმე ვიდრე მე-XIX საუკუნის დასაწყისამდე. ამ დროსაც თითქო განსაკუთრებული ტკივილებით გრძნობს მოწინავე ქარ-

თველობა მეცნიერულ განვითარების საქიროებას. ვახუშტი ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოსი, დავით ბატონიშვილი თავისი პოპულიარულ-მეცნიერული თხზულებით, „კალმასობით“ და ბევრი სხვა მეცნიერი სთხზავს თუ სთარგმნის სხვა და სხვა სამეცნიერო და საპოლიტიკო თხზულებას ქართული აზროვნება ხელმეორედ იწყებს მთელი თავისი ძალღონით გამოღვიძებას, აღყვავებას.

მაგრამ ამ დროს ხელმეორედ მოტრიალდება უკუღმა ჩვენი ცხოვრების ჩარბი, რომელიც ვაცილებით უფრო სასტიკი და უღმობელი გამოდგა ჩვენთვის. მისი სისასტიკე და საშიშროება ჩვენი გონებრივი ზღისათვის განსაკუთრებით იმაში გამოიხატება, რომ ამას გვაშორებს წარსულს, ცდილობს მოსპოს კავშირი ჩვენში წარსულს და აწმყოს შორის, ამართოს ზღუდე ჩვენს ათასი წლობით შექმნილ ისტორიას. და ჩვენს შორის. ეს იგივეა, რომ ადამიანი ჰაერში აიტაცო, რომ შემდეგ აქედან გაისროლო და მიწაზე დაანარცხო. სამწუხაროდ ეს ნიადაგის გამოკლა, ეს წარსულისა და აწმყოს გათიშვა ისეთი ძლიერებით სწარმოებს, რომ ბევრად უკვე მიზანს მიაღწია: თაობა თაობას მისდევს ჩვენში რომელიმე თავისი სამშობლო ლიტერატურა და ისტორია სრულიად არ იციან, ამ გარემოებას ის შედეგი მოჰყვა, რომ შესუსტდა ქართველის პიროვნებაში, ერთეულში მთელის, საქართველოს პატივისცემა და სიყვარული. ამასთანავე შესუსტდა ამ ერთეულის გულისთვის თავდადება და შრომა. აღარაა ამ ტიპის გამგარანობი ჩვენში, რომელიც მთელ თავის სიკოცხლეს სენაში იჯდა და სამშობლოს საკეთილდღეოდ გონებრივ მუშაობას ეძლეოდა. ორიოდვე ქართველი მეცნიერი თავის გამოკვლევაში უცხო ენაზე სწერენ და ამ ნაირად ქართულ აზროვნებას განვითარებას ხელს არ უწყობენ. რასაკვირველიმ. ასეთ პირობებში ჩვენი მეცნიერული მწერლობა მეტად დაეცა, წლები გადის. ასე, რომ ხეირიან სამეცნიერო წიგნს ვერ შეხვდებით მეცნიერული აზრი ქართულს ნიადაგზე ვეღა ბოგანობს. ეს გარემოება ბევრს აწუხებს, ბევრს აფიქრებს, მაგრამ დაქსაქსულობა და სხვა მიზეზები ხელს გვიშლის, რომ ამ ნიადაგზე რამე გავაკეთოთ. სხვათაშორის მეტად ცუდ მდგომარეობაში ვართ ტერმინების მხრით: რადგან ძველ მწერლობას ვერ ვიცნობთ, რადგან ინტენსიური გონებრივი მუშაობა ჩვენს ნიადაგზე არ სწარმოებს, რადგან სკოლაში სხვა ენაზე სწავლება ამიტომაც ბევრს ქართველს სურს რამე მეცნიერული გამოკვლევა დასწეროს ან სთარგმნოს ქართულად, მაგრამ მას აბრკოლებს ტერმინების უკოდინარობა. ვინც რამეს სწერს. ერთ-ერთს ტერმინს ხმარობს, მეორე ეს კი მეცნიერებაში ყოველად შეუძლებელია, ბევრჯერ შეეცადნენ სხვა და სხვა პირნი ამ საქმისათვის ეშველათ და ერთი ტერმინილოგია შეემუშავებიათ, მაგრამ სამწუხაროდ არც ერთმა ცდამ ბოლომდის არ გასტანა. საქიროა ეხლა მაინც სერიოზულად მოვიკიდოთ ხელი ამ საქმეს ერთხელ და სამუდამოდ მკიდრ ნიადაგზე დავაყენოთ. სწორედ ზაფხული საუკეთესო დროა ამ საქმისთვის ჩვენ იმედი გვაქვს ჩვენი მოწინავე მეცნიერნი ხმას, ამოიღებენ, შეიმუშავებენ გვემას და ხემძღვანელობასაც იკისრებენ ამ ფრიად საქირო და სასარგებლო საქმეში.

რედაქტ.-გამომცემელი: პეტ. სურგულაძე. გამყარ. „პროგრესის“ სტამბ. სასახ. ქ., თ.-აზნ. სახლი